

ის და ამს. გამოცემა, № 1.

6. ნიკოლაძის ნაწერი.

წიგნი შეორე.

# გაგულის

სიყვარული და მსახურება.

— — — — —

ქუთაისი.

ჭ. შ. წ. ჭ. გ. საზოგადოების სტამბა.  
1914.

## მამულის

ჩიებარული და მსახურება.

## 6. ნიკოლაძე ნაზარი.

შიგნი მეორე.

მარტინ

სიყვარული და ბეახერება.

გამოცემული თ. ა. მთავრიშვილის და ამს.

წიგნისა და საკანცელ. მაღაზიის.

ପ୍ରକାଶନକୁଣ୍ଡଳ.

ქ. უ. წ. კ. გ. საზოგადოების სტამბა.

1914.-

## წინასიტყვაობა.

ეს თხზულება მისმა ავტორმა, ნ. ნიკოლაძემ, დასწერა 1879-ში და დაიბეჭდა 1880-ში თფილისში ავტორის მიერ შედგენილს „საახალწლო“ ალმანახში, ვ. შავერდოვის წიგნის მაღაზიის საფასით.

ახლა ამ ნაწარმოებს ხელ-ახლა ვბეჭდავთ ცალკე წიგნად. ჩვენ გვსურს ეს შინაარსიანი და სასარგებლო წიგნი მკითხველისათვის ხელმისაწდომად გავხადოთ, მეტადრე იმის გამო, რომ ალმანახი, რომელშიაც ის მოთავსებული იყო, ამ უამად სრულიად აღარ იშოვნება. დედანი იბეჭდება სრულიად უცვლელად: არც ერთი რაიმე აზრი მას არ დამატებია და არ გამოკლებია, სტილიც არსებითად დედნის არის, მხოლოდ აქა-იქ ორთოგრაფიული შალაშინი გავჰქარით.

საკვირველია და სამწუხაროც, რომ ამ თხზულებისათვის ჩვენს პრესას თავის დროზე ჯეროვანი ყურადღება არ მიუქცევია, ჩვენს მწერლობაში მის შესახებ არაფერი დაწერილა, არც არაფერი თქმულა, კრინ-

## VI.

ტიც არავის დაუძრავს. ჩვენ არ ვიცით, რა იყო ამის მიზეზი და არც შევუდგებით ახლა ამის გამოკვლევას, მხოლოდ ვიტყვით, რომ ვინც ამჟამად ამ წიგნს წაიკითხავს და ჩაუკვირდება მის შინაარსს, დარწმუნებული ვართ, დაგვეთანხმება, რომ ავტორის შეხედულება სამართლიანია და დედა აზრი, რომელზედაც დამყარებულია მრთელი მსჯელობა, ჭეშმარიტებაა.

თუმცა წიგნი დაწერილია ოცდა თუთხმეტის წლის წინათ, მაგრამ ის დღესაც სრულიად შეეფერება ჩვენს მდგომარეობას. მართალია, მას აქით ქვეყნიერობაზე და ჩვენშიაც ბევრი ცვლილება მოხდა, მაგრამ ამ წიგნის შინაარსი დღესაც ახალია და არსებითად საჭიროა, მისი მნიშვნელობა ჩვენმა საზოგადოებამ გაითვალწინოს.

პატივცემული ავტორი თავის აზრს მკაფიოდ არკვევს და ნათლად ხატავს იმ ფორმებს, რომელშიაც უნდა განხორციელდეს მამულის სიყვარული, გვაჩვენებს იმ გზას, რომელსაც უნდა დაადგეს ყველა, ვისაც მამულის სიყვარული აქვს და მას ემსახურება.

## VII.

მკითხველისთვის მიგვინდვია გაიტანოს ავტორის აზრი და შეადაროს იმათს აზრს, ვინც ერთის მხრით ისე ივიწროებს სამშობლოს სიყვარულს, რომ შოვინიზმის კალაპოტში ახრჩობს და მეორეს მხრით ისე აფართოებს, რომ კოსმოპოლიტიზმის უსაზღვრო სივრცეში ფანტავს. დღესაც ბევრი იწერება აღნიშნულ თემაზე და ბევრი სხვა-დასხვა ნაირი შეხედულება არსებობს საზოგადოებაში და სასურველია, რომ ამ წიგნში გამოხატული და დასაბუთებული შეხედულებაც გვერდით ამოვუყენოთ მათს აზრს. დევ, იყოს აზრთა სხვადასხვაობა, ეს არის პროგრესის შემქმნელი, მაგრამ ვეკადოთ კი, რომ სიყალბემ დროებითაც არ ჩაჩრდილოს ჭეშმარიტება.

### გამომცემელი.

P. S. ამა ფურცლის მეორე გვერდზე დაბეჭდილია უმთავრესი შეცოომები, რომელიც გთხოვთ გადაასწოროთ წიგნაკში, სანამ მის წაკითხვას შეუდგებოდეთ.

---

უგთავრესი შეცოობები.

გვერ. სტრ. დაბეჭდილია. უნდა იყოს.

28	5	ბუნება	ბუნება
32	3	პიღველ-დრო-	პირველ-დრო-
		ინდელი	ინდელი
46	12	შეუსწავლებ-	შეუსწავლე-
		ლობამ	ლობამ
96		ბოლის	ბოლოს
54 16-17		უცხოეთის გა-	უცხოეთის გა-
		მოცდილება	მოცდილების
			მილება, და მი-
			სი სწავლის
			შეძენა! რათ
			უნდა გაკვირ-
			ვებოდათ, რომ
			ამ ცრუ-ქადა-
			გების გამგონთ
			არც უცხოე-
			თის მეცნიერე-
			ბა ესწავლათ,
			არც იქაური
			გამოცდილება

## მ ა მ უ ლ ი ს

სიყვარულიდ და მსახურება.

### შ ე ს ა ვ ა ლ ი

დვთის მადლით ფხიზლდება და იდვი-  
ქებს ნელ-ნელა ჩვენი ქართველობა, მო-  
ძრაობას იწევებს ცოტ-ცოტად ჩვენი ქვე-  
ყანა. როგორც იქნა, იმ დღესაც მოვეს-  
წარით, როცა ქართველ კაცსაც საზოგა-  
დოებრივი გრძნობა გაუჯდა ტანში, ის  
გრძნობა, რომელიც გვაგებინებს, რომ  
ბევრი რამ ჰქონდებია ჩვენს ქვეყანას, ბევრი  
საერთო საჭიროება გვქონია... ამ თცი,  
თუთხმეტი წლის წინათ ჩვენში ამგვარი  
გრძნობისა ან გავების ხსენებაც არ უთვი-  
ლა. მოვიგონთ ის წესები და ბნელით-

მოსილი დრო, რომელიც ამას იქთ ღმერთი—  
მა წერ მოსწროს ჩვენს მაშედს! გახსოვთ,  
ხომ, თითოეული კაცი რომ მარტო თავის-  
თავად და თავისთვის მოქმედებდა. მას  
შეტა რამე მიზანი როდი ჰქონია—ჩინი  
გიშვილი, სამსახურში დაწინაურდე, შე-  
ძლება შევიძინოთ. მისი კეთილის-მეო-  
ფელი მარტო ის იურ, ვინც ამ ჩინის  
შოგნას უადგილებდა, ვინც ამ დაწინაუ-  
რებაში ეხმარებოდა ან ამ შექნაში ხელს  
უწეობდა. ქვეყნის დამდუშველიც რომ  
უოფილიერ ის კაცი, რომელიც ჩვენ ჩი-  
ნის ან ადგილის მიღებაში გვშველიდა,  
ჩვენ მაინც თაუვანს-ვცემდით მას, მაინც  
ღმერთად მიგვაჩნდა: უოველი მისი სურ-  
ვილი ჩვენთვის კანონი იურ. რაკი ეს კაცი  
შირადათ ჩვენ გვაბეჭნიერებდა, როდიდა  
ეგრძნობდით, რომ მთელის ჩვენის ქვეყ-  
ნისთვის ის იქნება მავნებელი უოფილიერ.  
სხვის რა ჯავრი მაქვსო, ფიქრობდა ჩვენი

კაცი, მე ხდი მრგვასთ, მე ხდი მწევა-  
ლობსთ! ჩემთვის კი კარგი იუს, და  
დახარჩენმა ქვეყანაშ თუნდ თავი შავ ქვას  
ახალოსთ!.. უკედა ჩვენგანი ამ აზრის  
იუს, უოველი კაცი ცალპ-ცალპე სდევდა  
თავის ბედს, კერძოდ ექებდა საკუთარ ბე-  
თაილ-დღეობას... თუ დავინახავდით, რომ  
ეს ჩვენი კერძოდ გამაბედნიერებელი ჩვენს  
მეზობელს არ წეალობს, ჩვენც მის წა-  
ბაძვით, მის მოსამადლიურებლად, ამ მე-  
ზობლის მტრად ვიქცეოდით. ვაბეზდებ-  
დით ამ მეზობელს, ვდევნიდით, ვაწვა-  
ლებდით... იმის მოსაზრება ჩვენ როდი  
გვქონდა, იქნება ბედის ჩარხი უგულმაც  
დატრიალდეს, და ხვალ საკუთარად ჩვენ  
დაგვიწეონ დევნა ან წვალება, ისე, რო-  
გორც დღეს ჩვენს მეზობელს ეპერობიან  
ჩვენის შემწეობით... ხშარად ვხედავდით  
ხოდემე, რომ ჩვენს ხელის-გამწერობელს  
ჩვენი უნა არ მოსწონდა, ჩვენი ჩვეულება

არ ეპიტხავებოდა. ჩვენც, მის სასიამოვნოდ, შეურაცხეოთით ვეპურაბოდით ამ ენას და ჩვეულებას. ვიმეორებდით: ქართული ენა რაღათ ვარგაო, ქართული ჩვეულება რის გამოსადეგიათ... პი არ გვეშინოდა ქართულად ხმის ამოდების, გვრცხვენოდა, გვეთაკილებოდა, გვეგონა გლეხეკაცად, „მუჟიკად“ ჩაგვთვლიან, იუ რუსულებად არ ვისაუბრეთა... ვის ჭერნდა მაშინ იმის გაგება, და ვინ იტეოდა, რომ ჩვენის პირადი კეთილდღეობისთვისც საჭირო არისო დედა-ენის ცოდნა, თანამემამულებების ძმობა, მათი დახმარება...

გახსოვთ, კიდევ, ოთხიოდე ახალგაზიდა კაცი გამოგვეზარდა, ამ ოცი წლის წინათ, რომელიაც ქადაგება დაიწეს, წერით თუ სიტევით, ქართველები ვართა, ქართულ ენას ნუ დავივიწებთა, ქართული მწერლობა აღვადგინოთ, ერთობა და ძმობა ვიქონითათ, ერთმანერის ხე-

დი გავუწეოთ და დავეხმაროთ, ამითი, მხოლოდ ამითი შეიძლებათ ჩვენი მდგრ-  
მარეობის გაუმჯობესობა... რა ხარხარი  
დააუარა მაის ქადაგებას ჩვენმა საზოგადო-  
ებამ, რომელიც იმ დროს მარტო ჩინოვ-  
ნიკებისა და აფიცირებისაგან შედგებოდა!

—ქართულმა ენამ რა უნდა მარგოსო,  
ფიქრობდენ და ბძანებდენ მაშინ ჩვენი ტუ-  
ჭები, ჩვენი ჩინიანი და გავლენიანი ქო-  
სები. მე თქვენ მოგახსენებ, ჩინს მომ-  
ცემენ ან ჯამაგირს მომიმატებენ ქართუ-  
ლი ენის ცოდნისთვის! რა საჭიროა ეს  
ქართული ლექსები ან ჟურნალები? უსაქ-  
მოობის გამო სჯდაბნიანო ეს ჩვენი თერგ-  
დალეულები... ბევრს უნდა ახსოვდეს დღე-  
საც ეს და ამგვარი „გონიერი“ სიტუაციი  
ჩვენის ქოსებისა...

გავიდა ოცი წელიწადი. რადას ვხე-  
დავთ დღეს? ვხედავთ, რომ თვითონ ეს  
ქოსებიც კი გრძნობენ ქართული მწერ-

ლობის საჭიროებას. გამოუგდეს ოთხელუ-  
სამე მათგანს შვილი გრძნაზიიდან, ან  
უსამართლოდ გადუწუკიტეს საქმე სამსა-  
ჯულოში, ან გზა აღარ მისცეს სამსახურ-  
ში თუ სასწავლებელში, მაშინ თვითონ ეს  
ქოსები ხელში კალამს აიღებენ და „დრო-  
ბაში“ სწერენ: „ვიღუპებით, ბატონოւ-  
გზა შეპრული აქვს ჩვენებულ კაცს, და-  
შშევას და დაბრმავებას გვიპირებენდ“.  
მარტო კალმით და წერით კი არ ქადა-  
გობს ამას: იგი თავის მეზობელს უახ-  
ლოვდება და ხედავს, რომ თანივე ერთ  
ტავაზე იწვიან თურმე, რომ მათან,  
იმავ ტავაზე, ბევრი სხვა ჩვენებული კაცი  
უდიდესა დამწვარ-დადაგული... გრძნობს  
ამას, და თანდათან უფრო უახლოვდება  
მასავით შეწყებულს ადამიანებს, მათთან  
ერთად ტეობილობს, რომ ნიავი კარგი  
რამ არისო, რომ დავთის გაჩენილი ქვე-  
ჯანა და ბედნიერება უგელა მათგანისათვის

დახშული და მიუწევნელი უოტილა...  
 თუ კი ეს უგელაფერი ქასებმაც გაიგეს,  
 რადა თქმა უნდა, რომ ახალგაზღვდობას,  
 ახალთაობას ათასჯერ უფრო ადგილათ და  
 ღრმად შეეძლებოდა ამ გრძნობის შეთვი-  
 სება... ჩინიან ქოსებს, უწინდელ დროში  
 მაინც, დედობრივი სიუვარულით ეპურო-  
 ბოდენ... იმათ ძველი ამაგიდგანაც დარ-  
 ჩენილი აქვთ ხსოვნა მაინც... ახალთაო-  
 ბათა კი თავიდგანვე დედინაცვალი ერ-  
 გოთ ბედათ, კაპასი, უმოწყალო, ძუნწი  
 და მძულვარე დედინაცვალი... ძველ ქო-  
 სებს უკეთესი მაგალითები მაინც არ ენა-  
 ხათ, რომ თავიანთი ბედი მათთან შეედა-  
 რებიათ. ახალთაობათა კი ბევრი სხვისი  
 ოჯახი ენახათ, ისეთი ოჯახი, საცა დე-  
 დამთილი, კი არ კაპასობს, ნაზად,  
 როგორც მოსიუვარულე დედა, საუვარულ  
 შვილებს ალერსით აბედნიერებს... რადა  
 გასაკვირველია, მაშასადამე, რომ ახალ-

გაზღვებს ათასებურ უფრო მწვავად უნდა  
ეგრძნოთ ჩვენი საზოგადოებრივი ცხოვ-  
რების საკლულევანება, ჩვენი დაივანტუ-  
ლობა და უთავობა... .

ამასთან დრომაც იმოქმედა, ცოტათი  
არ იუთს. რაკი რუსეთის მთავრობაში, სა-  
კუთარი მიზნის მისაწევნელად, საჭი-  
როდ დაინახა, გამოევხიზლებია სხვადა-  
სხვა სლავიანური ხალხების თვისტომობა,  
და რაკი მათი მაგალითის წახედვით ჩვენს  
საზღვარზედაც უეიმრა სომხობა, — ჩვენ  
ქვის გუდი და თიხის ტვინი ხომ არ  
გვქონდა, რომ ჩვენც არ გვეპრძნო თვის-  
ტომობის დირსება ან ჰატივი? ჩვენს სა-  
კუთარ თვალწინ, ორიოდ-სამი წლის გან-  
მავალობაში, სომებს ერთი მტკაველი ტანი  
მოემატა. გუშინ რომ წელმოხრილი იუთ  
ეს კაცი, გუშინ რომ მის ხმის გაცემას  
არავინ კადრულობდა, დღეს ჩვენს თვალ-  
წინ ის გაიმართა, გამაგრდა, გაამაქდა.

მან დღეს თავისპატივი იგრძნო, თავისი  
ფასი შეიტუთ. დღეს მას უველა ერიდება,  
უველა პატივს-სცემს, უველა თავაზიანად  
ეპურობა და ფართო გზას აძლევს... რამ  
მიანიჭა მას ეს ბედნიერება? „სომხობამ“,  
„მთელი სომხობის ძალამ“. ჩვენც მივნევ-  
დით, ამისგამო... რომ „ქართველობაც“  
რომ სადმე იუთს, „მთელი ქართველობის  
ძალაც რომ სადმე არსებობდეს, იქნება  
ჩვენც გავიმართოთ წელში, იქნება ჩვენც  
გაგვიადვილდეს ცხოვრება, იქნება სხვისი  
სათრევი ადარ ვიუთ, იქნება სხვის პა-  
ტივისცემას ველირსოთ... სხვათა შორის  
ამანაც თვალი აგვიხილა, ამანაც გამოგვა-  
თხიზლა და გვაგრძნობინა ჩვენი საკუთარი  
თვისტომობა...“

იქნება უველა ეს საფუძვლები ჩვენგანს  
არავის ჰქონდეს კარგად გამოკვლეული,  
სათლად ახსნილი, მაგრამ მათს ძალას უვე-  
ლა ვემონებით, ზოგი მეტად, ზოგი ნა-

პლეი. უველა გვრმნობთ, რომ ამ უკანასკნელ წლებში რადაც ახალი, უცნობი ძალა წინ გვწევს ან მოსვენებას არ გვაძლევს. ზოგს ჩვენგანში ერთობ დონიურად მოქმედებს ეს ძალა, ზოგში—ნაკლებად. მაგრამ უველა კი მის გავლენას ქვეშ არის. ახლანდელი ჩვენი მოძრაობა ამით განირჩევა: იმას სტიქიური ძალა აქვს. ის ერთ კაცს კი არ მოუხდება, ან საზოგადოებას კი არ გაუზრდია: დროი მოიტანა, გარემოებამ გააძლიერა... ეფელი სტიქიური მოძრაობა ღირსშესასწავლია, თუ კი კაცს სურს, რომ ეს მოძრაობა მისი საზოგადოებისთვის სასიკეთოდ გამოდგეს, და არა დამდუპველად. სჭობს მაგალითით ვიღაპარა კოთ. წეალიც სტიქიური ძალაა. ჩინებული რამ არის ქვეუნისთვის წვიმა, რომელიც მოსავალს სრდის და აუხვებს, ან მდინარე, რომელშიაც ხალხი პოულობს საშუალებას წეურ-

ვიდის მოსაკლავად, ტივების სატარებლად, უანების მოსარწყავად და სხვ. მაგრამ თუ მაისის წვიმა ნიავლერად იქცა, უანებს ერთიანად წალეპს და თესლს გადარეცხს... თუ მდინარეს კაცმა უადგილო ადგილს წვალება დაუწეო, თუ სარწყავი დელების ან საწისქვილე ტოტების თავი ცუდ ადგილს გაუკეთა, მდინარე რომ მოდიდდება, მთელ უანებსა და მინდვრებს გადიარს, წალეპს, დაქცევს. გონიერმა სალხმა კარგად უნდა შეისწავლოს წელისა და მდინარის თვისება, კარგად უნდა მოიხმაროს ის ღონე, რომელიც ამ სტიქიისთვის ბუნებას მიუცია, თუ სურს, რომ ამ ძალამ ახეროს... ქვეშანაზე არც ერთი ძალა არ არსებობს ისეთი, რომ მხოლოდ სასარგებლო იქთს, ან მარტო მავნებელი. უფლები ძალა, როგორც უფლები საგანი, ზოგჯერ სასარგებლოდა კაცისთვის და ზოგჯერ მავნებე-

დი. მისი სიცუდე და სიკარგე ხმარებაზე  
ჰქონდია. მცოდნე და მოხერხებული კაცის  
ხელში საწამლავიც კი მკურნალობს, და  
უტვინო ბავში რძის საჭამადშიაც კი და-  
იხრჩობა.

თუ ამ მოსაზრებას გავიხსენები, ად-  
გილად მივხვდებით — რა სასარგებლოւ უნ-  
და იქოს ჩვენის საზოგადოებისთვის დამ-  
ჯდარი, მეცნიერული გამოკვლევა და გა-  
ცნობა იმ ახალი ძალისა, რომლის აღძრვა  
ჩვენში დიად საიმედო საქმედ, დიად ბედ-  
ნიერ ნიშნად მიმაჩნია... ამ ნაწერის მი-  
ზანიც — თუ დარი დამიდგა — ეს გამო-  
კვლევა იქნება.

# I.

მარტო ჩვენს ქვეუანაში კი არ მომხდა-  
რა, რომ ხალხს დიდ-ხნობით დავიწეულ-  
დი ჰქონდეს თავისი თვისტორია და შე-  
მდეგ აღმრულიერს მასში, შემდეგ გაძლი-  
ერებულიერს საზოგადოებრივი გრძნობა,  
მამულის სიუფარული, მამულის მსახურე-  
ბა. დედამიწაზე ერთი ძლიერი ხალხი არ  
არის ისეთი, ერთი კაკალი, რომელსაც  
ეს მდგომარეობა არ გამოევლოს, რომ-  
ლისამე სხვა ხალხის გონიერიას გავლენას  
ქმნის არ ეცხოვოროს და ბოლოს თავისი  
თვისტორია არ გაეხსენებითს. ზოგმა  
დიდი ხანია რაც მოიპოვა ეს თავისი  
თვისტორია, ზოგმა გუშინ შეიძინა ის,  
ზოგი კი დღესაც მისი შოვნისთვის  
იბრძვის, ან მის მოპოვებაზე შრომობს და  
ზრუნავს. მაგრამ უოველგან და უოველ-  
თვის ურთანარი კუნა გამოუგდიათ უველა

იმ ხალხთა, რომელთაც ეს ბედი ღირსეულია. მათი გაზრდა, გაძლიერება და განვითარება ერთგვარის გზით მიღის წინ, ერთგვარის კიბით ადის უმაღლეს განვითარების წერტილამდი. თითოეულ საფეხურს ამ კიბისას თავისი სწორი და მსგავსი საფეხური აქვს, როგორც უკელა სხვა ხალხების ადსამაღლებელ კიბეებს. ნაბიჯნაბიჯად იდგამს ფეხს კაცობრივობა და წინ მიღის. რა გზაც ხუთს, ექვსს, ან ოცს ხალხს თოხი ნაბიჯით გაუვლია, მას გერტერთი სხვა ხალხი ერთის გადახტომით გერ გაივლის. მართალია, ზოგი ხალხი ადგილად ან უცივად გაირბენს ამ ნაბიჯებს, ზოგი კი ლოკონისასავით ფორთხვით გადახტდება ამ გზაზე. ზოგი ამ ერთი-ორი ნაბიჯის გადაღვმას თცს, თცდასთა წელი-წადს მოასწრებს, ზოგი კი თო-სამ საუკუნეებაში მიაღებს ამ გაკლას... მაგრამ ეს კი უფერდოვის, რომ ადნიშნული გზა და ნა-

მიჯები აუცილებლად გასავლელი აქვს  
უფლება ხადეს, რომელიც გთხებითს  
ცხოვრებას ეჩვევა, ან საზოგადოებრივ  
ჩვეულებას ითვისებს...

ავიღოთ, მაგალითად, თუნდ რუსეთი,  
და კნახოთ, რა სტადიები გამოუყლია  
რუსების საზოგადოებას მისი თვისტო-  
მობის შეგნებისა და შეთვისებისათვის.

მოგეხსენებათ, რუსეთი ჯერ სწორედ  
ისე განკერძოებულად ცხოვრებდა და  
უცხო ქვეყნების ისე ერიდებოდა, რო-  
გორც უწინდელ საუკუნოებში საქართვე-  
ლო იქცეოდა. პეტრე პირველამდი რუსე-  
თი მარტო თავის თავს იცნობდა და მარ-  
ტო თავის ჭკუით ცხოვრობდა. ერთობ  
უკან ჩამორჩა ის ამის გამო, ერთობ და-  
სუსტდა, ერთობ დაგლახავდა. ეს მიძი-  
ნებული და დაუძლურებული ხადი პეტ-  
რე პირველმა აიუვანა და ევროპის განათ-  
ლებულ ცხოვრებაში შეაგდო. ბევრი რუს-

თაგანი წაფულობილდა მაშინ, ბევრმა უკრი  
თქვა, ბევრმა თვალი დახუჭა, მაგრამ ქა-  
ლა აღმართს ხნავსო, იმისი არ იყოს,  
დრომ თავისი ჰქმნა. (თითქმის ამგვარივე  
საქმე მოხდა ჩვენში, ოთცა, ამ საუკუნის  
დამდეგს, აქ რუსის წესი შემოვიდა...)  
არეულ-დარეული იუო მაშინ რუსეთის სა-  
ზოგადოება: ზოგი ქველს ცხოვრების  
გზას ადგა, ზოგი მაიმუნსავით ბაქვიდა  
ახალს. ბევრი სისხლი დაიღვარა ამასთ-  
აში, ბევრი წინააღმდეგობა ატედა...  
შემდეგ გამეფდა ეპატერინე დიდი, ოთ-  
მელმაც პეტრესავით ძალადობა კი არ  
იხმარა, უფრო თსტატურად შეუდგა საქ-  
მეს. ის იშვიათად ხმარობდა ძალადატანე-  
ბას. ვისაც გსურთ, ქველებურად წვერი  
მოუშვითო, მაგრამ ვისაც ჩემი დაახლო-  
ება... უნდა, ვინც ჩემგან რასმე მოელის,  
მან ეკრობულება განათლებია უნდა მიი-  
ღოს. ის აჯილდოვებიდა მწარდობას,

რომელიც იმ დროს ეკროპიული შწერ-  
ლობის ბომა წამიაძვი იქთ. თვითონ  
აარსებოდა თეატრის, რომელიც ვითომც  
ეკროპიული თეატრის მსგავსი იქთ, დიდ-  
გაცლიაში ეკროპიულ ცეკვასა, მორთვასა  
და მოკაზმებას აფრცელებდა, ეკროპიულად  
ცხროვრობდა და თავის საზოგადოებას  
ეკროპიულად მდიდრულ ცხოვრებას აჩვევ-  
და. რაღა ბევრი გავაგრძელო, ის სწო-  
რედ ისე ეპერობოდა რუსის საზოგადო-  
ებას, როგორც ვთრონცოვი ჩვენს ქვე-  
ყანას... და რასაც პეტრე პირველმა—  
გენიოსმა---რუსეთი ძალით ვერ შეაჩვია,  
რაც ჩვენში ერმოლოვმა---დიდმა და ჭავ-  
იანმა ერმოლოვმა—ვერ მოახერხა, ის  
რუსებს ეპატერნემ და ქართველებს  
ვთრონცოვმა ალექსით თუ თეტატობით  
შეაპარა. ~~შეაპარა ბრტყელი მუსიკის გარე~~  
განი წაბატა უდიდესი უცხოური მუსიკის  
და ცხოვრიშვილის სახელით ბ ბ ლ ლ მ თ გ ე

უპეტელია, უკედას მათგანს, გუდში, იქნება გეთილი და პატიოსანი მიზანი ჰქონდა: უიუოდ უკედას უნდოდა თავისი სამშართველო ხალხი უცხოეთის განათლებით გაეცედნიერებია, აღეჭურვა იგი დაწინაურებული ხალხების იარაღით, თუ გამოცდილებით. მაგრამ ეს იარაღი და გამოცდილება არსად სჩანდა, ხალხს კი მარტო უცხოეთის გარეგანს ტანისამოსს აცმევდეს. ცდილობდენ, რომ რუსის ხალხი გაენემეცებიათ ან გაეფრანცუზებიათ, და ქართველები—გაერესებიათ. ის ავიწუდებოდათ, რომ უოველ ხალხს თავისი განსაკუთრებული ხასიათი და ზნე აქვს, რომ რუსს ვერავინ გაანემეცებს, ქართველს ვერავაცი გაარუსებს; შესაძლებელია ქართველს ჩოხის მაგიერ ზიპუნი ჩააცვა, ბოხოხის მაგიერ შაპკა დაახურო, ქალამნის მაგიერ—წალა მისცე, მაგრამ ხასიათი და ზნე, სისხლი და ბუნება კი მაინც

ქართველის დარჩება... და ოთვა ამ ბუნების ძალას დაატან, ოთვა მოინდოშებ, რომ რუსმა ფრანცუზსავით იხტენოს, ან ნემეცსავით იშრომოს. ან ქართველმა რუსსავით გეემოს, მაშინ ხითათს შეერები, საქმეს წაიხდენ, ქვეყანას ავნებ... ამნაირ გარებან წაბაძვას გამოეკიდა უვალა; ამგვარ მაიმუნურ ან მასკარადულ „გადასხვაივერებას“ მიაღიერ ხალხის უმჯობესი დრო და თითქმის მთელი საუკუნე... მაინცა და მაინც სრულიად უმნიშვნელო ან უნაუროვო როდი დარჩენილა ეს გარებანი წაბაძვაც. ბევრი სიკეთეც მოუტანა მან ხალხს. მაგალითად თუნდ თეატრი ან მწერლობა ავიღოთ. უწინ ჟურნალ-გაზეთების მარტო წაბაძვით აარსებდენ, თეატრებსაც წაბაძვით მართავდენ... „როგორ იქნებათ, პარიჟში და ლონდონში თუ იმდენი ჟურნალ-გაზეთები გამოდის, იმდენი თეატრები მოქმედებს,

წვენში პი რატომ არ უნდა იუთსო. ვინც  
ამას შეიტეობს ან დაინახავს, ხომ შაშინ-  
გე ბარბაროზს დაგვიძახებსო!“ ამ მოსაზ-  
რების ქალით, შარტო წაბაძვით, არსდე-  
ბოდა ჩვენში და რუსეთში „წამხედავი“  
მწერლობა ან თეატრი. დიდსანს საჭმე  
შართლა შარტო „წამბაძველობით“ ბრუ-  
ნავდა. როგორც საფრანგეთში ან გერმა-  
ნიაში იუთ რასინი, კლოპშტოკი, კორნე-  
ლი, ისე რუსებსაც ეგონათ, რომ ამ  
მწერლების წამბაძვი ჩვენი მჯდაბნელები  
„რუსეთის რასინები“ ან „კორნელები“  
არიანთ. შაგრამ შემდეგ ამ წამბაძვ მჯდაბ-  
ნელებს გამოკრიენ და მოერიენ სამდვი-  
ლი მწერლები, ნამდვილი ნაციონალური,  
ნიჭით შეიარაღებული, და წერა და ბეჭ-  
დვა მათ ხელში შართლა მწერლობად გა-  
დაიქცა. მიმბაძვი მწერლობის დამარსებ-  
ლებმა ბევრი ირტევეს მაშინ თავში, ბევ-  
რი ინანეს — რათ მოვიხვიეთ თავზე ამ-

გვარი „მოწინააღმდეგობა“, მაგრამ მწერლობის მოსწობა კი აღარ შეეძლოთ. „ჩვენ გვსურდა გასართობი, საამო დროს გამატარებელი, თავის შემაქცევარი რაიმე დაგვეარსებინათ, ამბობდენ ისინი, და ამის მაგიერ კი ისეთი მწერლობა დაარსდა, რომელიც საქმეებში ერევა, მსჯელობას იწყებს, უფროსებს ჰკიცხავს, ხალხს ზრდის და აღვიძებსო!“ — ასე ხშირად, მარტო წაბაძვით იწყებს ბალებში სიარულს ჩვენებური გაჭარი, მარტო იმ განზრახვით, რომ სხვებს უკან არ ჩამოვრჩეთ... მაგრამ რამდენისამე წლის შემდეგ ის ხედავს, რომ სუვთად ჩაცმასაც შეუნიშველად შეეჩვია, თავაზიან და პოლიტიკურ დაპარაკესაც და, ამას გარდა, ბევრ საკვირველს, გონიერის განმავითარებელს აზრებს და ფიქრებს გაუცნო, საზოგადოებაში ბასობის დროს... უსარგებდო არ უთვილა მეოქი თვით

მაიმუნერი წაბაქვაც. მართლაც, ქვეყანაზე  
ეგელათერი ახირებულად ბრუნავს. ხალ-  
ხი და კაცობრიობა გონიერი ან გამოც-  
დილი ქმნილება როდია, წინათვე აღნი-  
შნულ მიზნისკენ გადუხვევლად მიმავა-  
ლი... დედამიწაზე ის ბრძასავით დაეხე-  
ტება, ხელების ფაირუით, სანამ სადმე  
დობეს, ან კლდეს, ან ღრეს არ წაატე-  
დება... შებეჭდს რომ მიახლის, ანა და  
ფეხს რომ იღრძობს, მაშინ მიხვდება—  
ამ გზაზე სვლა არ ვარგებულაო, და  
მეორე, სხვა გზას ირჩევს, რომელზე-  
დაც მაღე ახალი ხრამი ხვდება. იქაც  
რომ ხითათი დაემართება, ბრუნდება და  
თავის ბედს რომელსამე ახალს, შეათანა  
გზას მიანდობს... მერე მეორებეს, მეხუ-  
თებს, და სხვ. ასე დახეტიალობს ქვეყა-  
ნაზე კაცობრიობა, ერთი შეცთომიდგან  
მეორისკენ, და ვინ იცის, როდის ელირ-  
სება მას იმნაირ გზაზე დადგომა, რო-

მეღზედაც უხითათოდ ან დაუბრკოლებდად წაგოგიალდება მისი საქმე... ამ ბეჭნიურებისგან ჯერ-ჯერთბით კი მეტის მეტად შორსა ვართ. ჩვენ დროს, ორმოცი, სამოცი წლის განმავალობაში ადგია სალხი ბრძა-წაბაძვის გზაზე, ცდილობს გადაპეთდეს, გადასხვავერდეს უცხოეთის კალაპოტზე. შებლს რომ გაიხეთქს ამისთანა ცდაში და მიხვდება, ამდენისანი უხეირო მიზნისივის შემიღევიათ, ის მობრუნდება და მეორე გზას ადგება: ცდილობს მაშინ საკუთარი წინაპრების წარსული დრო მოიბრუნოს, მათი მივიწეუბული ჩვეულებანი გაიხსენოს, მათს ქველ ცხოვრებას და წესების დაუბრუნდეს... ამ ცდაშიაც გაიგლის ხოლმე ნახევარი საუკუნე, ხან მეტი, ხან ცოტად ნაკლები... რასაკვირველია, არც ეს გზა აბეჭნიურებს ხალხს... მაშინ რაიმე ახალი მიზანი გამოუჩნდება. რომლის დევნაში კიდევ ერთი იძღვნი ხანი იღევა.

მაგრამ თვით ეს მიღებ-მოღება და  
 ხეტიალი დიდათ სასარგებლოა ხალხის  
 გონიერის განვითარებისათვის. ხალხიც  
 სწორედ ისე იზრდება, როგორც ბავში.  
 მართალია, როცა ის აკვანში ჩაწვენილია,  
 როცა მას ხელ-ფეხი შეკრული აქვს და  
 თვალები ახვეული, ის ვერც შებდეს მი-  
 ახლის ბედელს, ვერც ფეხს მოიტეხს  
 დრეში. მაგრამ რომ წამოიზრდება, კარგი  
 მომვლელი სჭირია, და რაგინდ დახე-  
 ლოვნებული ან გულ-მტკივნეული იუთს  
 ძისა, ხომ ვედარ მოერევა წვერ-ულფაში-  
 ან გაზდილს, აკვანში ხომ ვერ ჩაწვენს,  
 ხომ ვერ მოუვლის? როცა ბავში ჯერ  
 ფორთხვას იწევის, მერე სიარულს, განა  
 შესაძლოა მისი ფეხის ადგმა და გაზრდა  
 ისე, იუ ბევრჯერ ხან პედელს არ მიეხალა,  
 ხან იატაგზე არ დაეცა, ხან გიბეზე არ გადა-  
 ვარდა? თვით ეს სიზათები ბავშს აჭკვია-  
 ნებს, გონიერას უვითარებს და სწორე გზას

უჩვენების... თითოეული შეცდომა, იქნება, ათასი სხვა შეცდომებისაგან იხსნიდეს მას შემდეგისთვის... ხალხის ზრდაც აგრევე წარმოებს, დასაწეისში, როგორც ბავშის ზრდა. კაცმა რომ ეს ზრდა გაკვრით ასწერთს, აი რას დავინახავთ: დასაწეისში თითოეული ხალხი უძლეური და უსუსურია. მალე მას ძის, ან მომვლელი უჩნდება, რომელიც აკვანში აწვენს და ხელ-ფეხს მაგარი არტაშნებით უკრავს... მთელი საუბუნოებით რჩება ხალხი ამ უბედეურ მდგრადებისში. მერე კბილები ამოდის, ღონები ეძლევა, გონება მოეწივება. მაშინ ის ჯერ ფორმისას იწევებს, მერე ხეტიალს, და ბოლოს ადამიანურ სიარულსაც. თავდაპირველად, როგორც კი გონებაზე მოდის, მას მარტო მიბაქვა შეუძლია: რა საჭმის კეთებასაც სხვას შეამჩნევს მის გადაღებას მოისდომებს... ბოლოს, როცა დიდძალ გამოცდილებას ან ჭიშას

შეიძენს, როცა დავაშგაცდება, ცხოვრუ-  
ბას გაეჩვევა, გაგრძიერდება, ის თავის  
საკუთარ ჭკეას მიენდობა, მის ხელმძღვა-  
ნელობით მოქმედებას იწყებს, და ისე  
ცხოვრობს, რომ სხვისი გამოცდილებაც  
გამოიყენოს და თავისი საკუთარიც; კარ-  
გი თავისიც დაიცვას და სხვებისაგანაც  
შეიძინოს; ავს სხვებისასაც ასცილდეს და  
თავისასაც.

თუ კაცმა ამ სტადიების სისტემებრივ  
გამოსახვა და დაწყობა მოინდომა, ვნახავთ,  
რომ ეფველი ხალხის ცხოვრებაში შემდე-  
გი განვითარების თანი პერიოდი მოი-  
ქებნება.

**პირველ პერიოდს** ის დრო შეად-  
გენს, როცა ხალხი თავის საკუთარი გო-  
ნებით ან ტვინით არ ცხოვრობს, რო-  
ცა მის მაგიერ სხვა ვინმე ზრუნავს და  
მოქმედობს, და როცა ხალხი მცენარეობს,  
საზოგადოებრივ ინტერესებს არ გრძნობს,

ერთი სიტყვით ის დრო, რომელსაც  
ურმთბის პერიოდი ჰქონდა.

**მეორე პერიოდი,** რომელსაც მიმ-  
ბარველთბითს ეძახიან, იმ დროს წარ-  
მოადგენს, როცა ხალხი უცხოეთის დაწინა-  
ურებას ხედავს და მის მოხურ მიბაძვას  
იწევის, თავის უძლურებას ან სისუსტეს  
იზიზღებს და ცდილობს გადასხვათერდეს  
გარეგნულ წაბაძვით.

**მესამე პერიოდს,** ქველები ურთბის  
აღმადგენელს, ის დრო შეადგენს,  
როცა ხალხი რწმუნდება, რომ მაიმუნური  
მიბაძვა დიდ ხეირს არას მაძლევსთ, და  
საკუთარი წინაპრების წესების აღდგენას  
მოინდომებს, მათს უურ-მოჭრილ მონად  
ხდება. ზოგიერთი ისტორიკოსები მე-  
ორე პერიოდს პროგრესიულ-მი-  
მბაძვს არქმევენ, და მესამეს-  
რეგრესიულ-მიმბაძვს.

**მეოთხე პერიოდი** კი შაშინ იწყება.  
 როცა სალხი ამ შესაძე ჩერიოდის უნა-  
 გოვდებასაც იგრძნობს. შაშინ ის გა-  
 მორგვევას იწყებს, თუ მისი საკუთარი  
 ბუენება რას მოითხოვს, მისი ძალა რის  
 ნებას აძლევს, სხვა სალხის ძლიერება  
 რამ შეადგინა, სხვებს რა აქვთ გარე,  
 ისეთი, რომლის შეთავისებაც მის ბუნე-  
 ბას შეუძლია, და თვითონ მას რა ჰქო-  
 ნია ცუდი, ისეთი, რომლის იაფიდგან  
 მოშორებაც შესაძლოა. ამ ჩერიოდს ჩვენ-  
 ში საკუთარი სახლი არ აქვს, ამიტომ  
 რომ ჩვენ ეს დრო არ გვდირსებია. რუ-  
 სულად კი ამას ჰქვია *Период само-  
 бытного творчества* და ჩვენებულად,  
 თუ გნებავსთ, ასე იუთხ: თავისებური  
 შემოქმედების ჩერიოდი.

---

## II

შიბაძეის შერთოდი ერთობი გრძელი  
იუთ ჩვენში. ბუნებას ჩვენი ქვემანა იმის-  
თანა ადგილს მოუთავსებია, საცა ათას-  
ნაირი ხალხი იურიდა თავს, თითქო ისეთს  
მოედანზე, რომელზედაც ერთიაშად ოცი  
იუ ოცდა ათი ქუჩა კამთდის... ჩვენს  
სამშობლოს ჯერ ერთი ხალხი მოადგე-  
ბოდა კარზე, მერე მეორე, მერე მესა-  
მე და სხვ. თითქმის უველანი პი ჩვენ-  
ზე გაძლიერებული უოფილან. ერთის  
გაცნობას ვერ მოვასწრებდით, მისი და-  
წინაურება გაგვეგო, მისი ხეირიანი ჩვე-  
ულებანი შეგვეთვისებია, აკი მეორე შო-  
გვადგებოდა, პირველზე უფრო ძლიერი  
ან დაწინაურებული. ვიწევებდით, მაშინ,  
ამ ხალხის გაცნობას ან შეთვისებას...  
ერთიც ვნახოთ, მესამე მობრძანდებოდა,  
ორივეზე უმჯობესი, მერე. მეოთხე და

მენეთი. რა უნდა გვეშა ამ მდგომარეობაში, რა გვეშელებოდა? უბრალო სტუმრად რომ მოძრაობებულიერ უველა ეს ხალხი, კიდევ რასმე მაინც მოუხერხებდით. შეგვეძლებოდა მათი კარგი და ავი, გონიერად გაგვეცნო მათი სიკეთით გვესარგებლა, ან მათს ცუდს ავშორებოდით. მაგრამ ისინი სტუმრად კი არა, გამგლეჯ-გამათხრებლად მოდიოდენ ჩვენსა. თითოეული ეს წვეულება ჩვენი ხალხისთვის აკლება იყო. თითოეული მათგანი ჯერ თავ-პირს დაგვამტვრევდა, მერე ბატონად. გვიჯდებოდა სახლში, მშიურად და დატაკად გვტოვებდა... ვის ექნებოდა დოო გონიერად დაკვირვებოდა მათს კარგსა და ავს? განუმარტებლად, უბრალო შეჩეკის ძალით, გვრჩებოდა თითოეულ ამ ხალხისგან უმთავრესი მისი ზნე, სწორედ ისე. როგორც დიდ ჯარში, ან ვაება ხალხის გროვაში

გარეულ კაცს უფეხელი მისი შემხვდომის  
ჩირქი ან ტალახი ედება, და კარგი რამ  
კი ძვირად ხვდება...

ამ სახით მონგოლებსაც კი ვიაძავ-  
დით დიდხანს ქალა-უნებურად, სპარსე-  
ლებსაც, თათრებსაცა და ლეპებსაც. ზოგ-  
მა ქუდი დაგვიტოვა, ზოგმა შარვალი,  
ზოგმა სიზანტე, ზოგმა თრპირობა...  
ხეირიანი და მაგარი ბუნება რომ არ  
გვქონდა, ჩვენ სისხლში რომ ის და-  
უნდობელი და დაუშრეტელი ქალა არ  
მდგარიყო, რომელიც ზოგიერთს რჩე-  
ულ ხალხს უკვდავებას აძლევს, დიდი ხა-  
ნია რაც დედამიწის პირიდგან ქართვე-  
ლებისა და საქართველოს ხსენებაც კი  
გაქრებოდა. უკელასაგან იმოდენი ჩირქი  
გვრგებია, უკელას ჩვენთვის იმდენი ტა-  
ლახი და მტვერი მოუცხია, რომ, სხვა,  
უფრო სუსტი ხალსი, კიდეც დაიმარხე-  
ბოდა აქამდი ამ სისქე ტლაპოს ქვეშ...

ვინ, რომელი ბრძენი, ისტორიკოსი ან  
ეტნოგრაფი გვეტუვის დღეს, როგორი  
იქთ სამდვიდი და პიდველ-დროინდელი  
ქართველების ბუნება, ზექ, ხასიათა, თვი-  
სება? რა შეგვრჩა ჩვენი საკუთარი, ან  
რა გამოგვევა და მოგვედო სხვისი? ჩვე-  
ნი რა გვაქვს დღეს და სხვისი რა, ან  
რომლის რა? ვინ იცის ეს! მართალია,  
ბუჭოს არც საჭიროდ უნდა მიაჩნდეს ამ  
ნაირი გამოკვლევა, მაგრამ დღეს ამ უბე-  
დერ მიმბაქველობის პერიოდი რომ, დგომის  
მაღლით, ჩვენთვის გათავდა, და ვიწყებთ  
შემდგომს ისტორიულ პერიოდს, პერი-  
ოდს ჩვენის თვისტორიკისკენ დაბრუნე-  
ბისას, მეტის მეტად საჭიროც არის და  
გამოსადეგიც ვიცოდეთ-----ჩვენი თვის-  
ტორიას სამდვიდად რაში მდგრადარების  
ან რომელ იყისტორიკობას უნდა დავუბრუნ-  
დეთ, დავუხდოვდეთ? რომელს დროს  
ან რომელს ზექს უნდა დავუბრუნდეთ:

როცა ქართველობას სპარსეთის დაღი ეპ-  
რა, თუ როცა თათრების გავლენის ქვეშ  
უფლებიდა ჩვენი ქვეყანა, როცა თათრების  
ჭრით ვცნოვორობდით და ვიკვებულოდით,  
თუ როცა საბერძნეთი გვპატრონობდა,  
როცა ვიზანტიის სწავლით გაბრწყინვე-  
ბულ იქნა მოკლე ვადით ჩვენი ბნელი  
ცხოვრება? რა ზნე და წესი უნდა გვი-  
უვარდეს, რა წეობილებისკენ უნდა მივე-  
სრწაოვებოდეთ, რამი უნდა კხედავდეთ ჩვენს  
იდეალს, რას უნდა ვსთვლიდეთ კარგად  
და ავად? ხომ შეუძლებელია ეველა ამ  
გითხვის განმარტება და გარჩევა, სანამ  
არ დაარსდება ჩვენში ხეირიანი ისტო-  
რიული შეოლა, სანამ ისეთი ხეირიანი  
ისტორიკოსები არ გაგვიჩნდებიან, რო-  
მელთაც ჩვენის ხალხის ქველი ცხოვრე-  
ბა გამოიკვლიონ და ის სიბნელე თვა-  
ლიდან მოგვაშოროს, რომელიც ჩვენს წარ-  
სულს გვიმაღავს?

სანამ ამნაირი ისტორიკოსები არ გვე-  
დირსებიან, სანამ მათის შემწეობით ჩი-  
ნებულად არ გაიგებს ჩვენი ხალხი თავის  
წარსულ ცხოვრებას, მანამდი იმ ახალ  
პერიოდში, რომელშიაც ჩვენი ქვეყანა ამ  
სანებში შესულა, ერთობ დაბნეულად,  
უთავბოლოდ და უმნიშნველოდ წახობდება  
ჩვენი ხალხის გონებითი წინ-წაწევა. დღეს  
რომ ჩვენ ამისთანა ისტორიკოსები გვევან-  
დეს, დღესვე ზედმიწევნით რომ ვი-  
ცნობდეთ ჩვენს წარსულს, ეს ისტორი-  
ული პერიოდი იქნება მარტო თუთხმე-  
ტიოდე წელიწადს გაგრძელდეს ჩვენში,  
მეტს კი არა. მაშინ, რაკი ასე მაღე მო-  
ვიხდით ამ სახადს, აღვილად შეგვეძლე-  
ბოდა ისტორიულ ცხოვრებაში შემდგომი  
ნაბიჯი გადაგვედგა და ჩვენი საკუთარი  
მუხლების ძალა გვეშინჯა... დღეს კი  
უთავბოლოდ უნდა ვიბოდიალთ, და ვინ  
გვეტუვის---რამდენს სანს, რამდენს წე-

დიწადს, ან იქნება საუკუნესაც, გასწევს  
ეს „დროებითი“ პერიოდი ჩვენის ხალხის  
ისტორიული განვითარებისა?..

უფრო გარემოებით გამოვსთქვამ ჩემს  
აზრს, და ამ მიზნით ერთ მაგალითს  
მოვიყენ რუსეთის ისტორიული ზრდი-  
საგან.

შეტრე პირველისა და ეპატერინე შე-  
ორის მეთხებით დაწეუბული და გაძლიე-  
რებული პერიოდი მიბაძვისა (შეტრე შე-  
ორითი) რუსეთში ეხლანდედ საუკუნემდი  
განიგრძო. ალექსანდრე პირველის უკა-  
ნასკნელ წელიწადებში რუსეთში პირველ-  
კერ მოისმა შემდგომი პერიოდის წინა-  
მორბედი ხშები. შიშკოვმა და აქსაკო-  
ვებმა ქადაგება დაიწევს, რომ მიმბარა არა ვართა,   
განა ჩვენ წარსული არ გვქონიათ? ჩვენ  
ძველებს დავუსხლოვდეთ, მათგან ვი-  
სწავლოთ ჭიკუა-გონებათ, მათ წესებს და-

გუბრუნდეთთ. ატედა უშველებელი ბრძოლა ამ პირებსა და ევროპიული განათლების ან წესების შემთმდებლებს შეა. თუ ბანაკად გაიცა რუსული მწერლობა და საზოგადოებრივი ცხოვრება: ერთი (западники) ევროპის წესებსა და თავისუფლების შემთღებას ცდილობდა, მეორე კი (славянофили) მამა-პაპური ცხოვრების დაბრუნებას. პეტრე პირველმა რუსეთი დადუპათ, ამბობდენ და სწერდენ ეს უკანასკნელები: საჭიროა ის წესი აღვადგინოთ, რომელიც პეტრემ ევროპის მიბაძვით დაარღვიათ. დაიწეს ამ ქველი წესებისა და ცხოვრების შესწავლა: მაშინ ხომ არავის გაგებაც არ ჰქონია ქველი ისტორიისა, სწორეთ ისე, როგორც ჩვენში არავის აქვს ეხლა ჩვენი წარსულის ცნობა. გამოჩდენ ნიჭიერი და მშრომელი ისტორიკოსები თრსავე ბანაკში. ზოგი ქველ დორში მარტო მოსაწონ მხა-

რექტეს ეძებდა, ზოგი მარტო საძრახს და სა-  
საცილოს. მათი შრომა მიღებომითი შრო-  
მა იყო, მართალია: მიღებომით და მრუ-  
დეთ ხატვიდენ ისინი წარსულს; მაგრამ  
მათი გამოკვლევით წახალისებული ხალხი  
მარტო იმათ კი არ შეაჩერდა. მათ შემ-  
დებ ახალი, უფრო მიუღებომელი და სი-  
ნიდისიანი ისტორიკოსები გამოჩნდენ,  
რომელთაც პირველებმა შრომა გაუადვი-  
ლეს და გზა აჩვენეს. ამ ახალმა მწერ-  
ლებმა კარგიცა და ავიც ერთნაირად გა-  
მოიკვლიერს, არც ცუდი რამ დამალეს,  
არც კარგი, და ნელ-ნელა გაითანარ ის  
სიბნელე, რომელიც რუსეთის წარსულ  
ცხოვრებას თვარავდა... ამას გარდა, იმა-  
ვე მოძრაობის მეთხებით, რუსები მი-  
სვდენ, რომ მათს ცხოვრებაშიაც უფლისა  
ზოგიერთი იმისთანა მხარეები, რომე-  
ლიც ევროპის განათლების მომხრესაც  
კი მოეწონება ან აღტაცებაში მოიუვანს.

გამოჩენდა, მაგალითად, რომ ჩინებული  
რამ კოფილა რესერტის ქვედაი ჩვეულება  
შრომის განაწილების (артили) და მი-  
წის მთვლობლობისა (ინიცია), თითქმის  
ისეთი კოფილა, როგორც იდეალად უჩ-  
ვენებენ ეპროცესის რეზორტორები. გა-  
მოჩენდა აგრეთვე, რომ რესის ხალხს  
მშვენიერი საკუთარი მუსიკა ჰქონია, ისე-  
თი, რომ იტადიის მუსიკას უკან არ  
ჩამოუვარდება. გამოჩენდა კიდევ რუსული  
სტილი შენობაში ან მოწეობილობაში,  
რუსული გემოვნება, რუსული სახალხო  
ზოეზია (ეპთსი, ლირიკა და სხვ.) გა-  
მოჩენდა ბოლოს, რომ თვით გონიერის  
ცხოვრებაშიაც -- რომელიც უველას ერთი-  
ანად დახმული ეგონა, -- რუსეთის ხალხს  
თავისი თვისტორიუმური მხარე ჰქონია, გან-  
საკუთრებით სარწმუნოების კითხვებში.  
ზოგიერთი მისი სექტები, ერეტიკოსო-  
ბის მიმდევრობა, მეტის მეტად თვის-

თეროვანი გამოვიდა... და როცა სინი დისიანმა ისტორიკოსებმა ან ეტნოგრაფებმა პარგად გულმოდგინედ გამოქვებნეს უგელათერი, რაც თვისთეროვანი ან დასათასებელი უთვილა რუსეთის წარსულში და მისი სალხის ზნეში, მაშინ სრულებით გააღვილდა რუსებისთვის საკუთარ მუხლებზე სიარული, სხვისი და თავისი ხეირიანი წესების დაფასება ან დაფუძნება... მაშინ რუსეთისთვის მოისპო მეორე და მესამე პერიოდი, მისი ისტორიული განვითარებისა და გარდაიშალა მეოთხე პერიოდი...

ეს მაგალითი იმისთვის კი არ მომისუვანია, რომ რუსეთი ვაჭრ ან ვაძაგრა: ბავშობა იქნებოდა ამისთანა სურვილი. მინდოდა გარკვევით მეჩვენებია უგელასათვის, თუ რა მნიშვნელობა აქვს სალხის ცხოვრებაში იმ პერიოდს, რომელიც დღეს ჩვენს ქვეყანაში იწევება...

კერძო პირი სშირად ვერც კი ხედავს, თუ თვითონ მას რა ისტორიული ქალა ამოქმედებს, რა ბუნების ქალას მიჰყავს ის ხან წინ, ხან უკან. ვისაც ზედმიწევნით არ შეუსწავლია „ისტორიის ფილოსოფია“, მას უოველთვის ჭირნია, რომ რასაც მე დღეს ვშვრები, იმას ჩემი საგუთარი ჭკუით ვშვრებით, ჩემი გრძებით ვმოქმედობ, და სხვებს ვამოქმედებო. დიდი შეცდომაა ეს, დიდი სიბრიუვეა. კერძო პირი ცხოვრებაში უბრალო პაიკია, რომელსაც ისტორიული ქალა და ჩარხი ატრიალებს ან ათამაშებს. ათასიც რომ ისტუნოს ამ პაიკმა, ათასიც რომ თავის ნებით გაიწიოს, ქვეუნის ჩარხის ბრუნვა მას მაინც უპოვის თავის ადგილს და თავის ნებაზე დაატრიალებს. მართალია, კაცის გონიერებასაც ბევრი უეუძლია ამ საქმეში, მაგრამ ეს ბევრის შეძლება მარტო იმაში მდგრამარეობს,

რომ ზოგი პაიკი გაიგებს, რა ძალა ათა-  
მაშებს იმას, და ამ ძალით ისარგებლებს,  
ამ ძალას დაეხმარება; ზოგი კი ამას  
ვერ მიხვდება და ბრიუგულად თავს გაა-  
ლანვინებს ან მთელ თავის ღრუნებს ამ ძა-  
ლასთან შეუფერებელ ბრძოლაში და-  
ლგვს... ეს უნდა გვასხოვდეს კარგად,  
მეტადრე იმიტომ, რომ ჩვენში ზოგი-  
ერთს უმაწვილთაგანს ჰყონია, რომ ქვეუ-  
ნის ისტორია მითი იწევბა და მითვე გა-  
თავდებაო...

ამ საგანზე ლაპარაკი იმისთვის გავა-  
ბი, რომ მინდოდა მეოქვა, თუ რამ-სი-  
დიდე მსგავსება სუფეს ეხლანდელ ჩვენს  
მოძრაობასა და რუსეთში სლავიანოტი-  
ლობის დაარსებას შეა. ადვილად შემე-  
ქლო ასეთივე მსგავსება რომლისამე სხვა  
ხადხის ისტორიიდგან ამედო. შემექლო,  
მაგალითად, მომუევანა ის ბრძოლა, რო-  
მელიც საფრანგეთში იუთ გამართაული

ცრუ კლასიკებსა და ოთმანტიკებს შეა, ან გერმანიის ცხოვრებიდგან--- ლესინგის დროს დაბოლოვებული თმი საფრანგეთის წამბაძებებსა და ქველი გერმანიის მომხრეებს შეა... თრივე ეს ბრძოლა სწორეთ იმავე სასიათის იუთ, ოთგორიც რუსეთში ატედა და ჩვენშიაც იწევება... მაგრამ რუსეთის მაგალითი მისთვის მომჟავს, ოთმ ეს მაგალითი უფრო ნაცნობი და ადვილად გამოსაკვლევია ჩვენი უმაწვილების უმეტესი ნაწილისთვის.

სლავიანოფილობის პირველი თვისება ის იუთ, ოთმ თავიანთს უველავერს იწონებდა ან თავებანს-სცემდა, და უცხოეთისას უველავერს იძულებდა ან აძაგებდა. წაბილწულიათ უოველი კაცი, ვინც რუსულ ენას არ სმართოს და ვისაც უცხოენაზე გინდ ერთი სიტუაცია წაცდებათ. ოცა რუსულ ლაპარაკში ვინმე იმისთანა სიტუაცის ისმარდა, ოთმელიც რუსულში

სულ არ იქთ, სლავიანთოვილები კიუინს იწეპდენ: „რათ ხმარობთაო სიტუვას შარლამენტს, ეს ხომ რუსული სიტუვა არ არისთ!“ --- რომ გვჭირდება მისი ხმარება, და მის მსგავსს სიტუვას რუსულ ლექსიკონში ვერ ვთოულობთ, უბასუებებდენ მოწინააღმდეგენი. — „სიტუვა-სიტუვით გადათარგმნეთ, მოიგონეთ, მაგალითად სიტუვა „ГОВОРИЛЪИЯ“ (სალაუბო) და ის იხმარეთთ. — რა ვქნათ, მიუგებდენ მაშინ მოპასუხენი, ჩვენ ენაზე უფრო მდიდარი და შემუშავებული ენა აქვთ ნემცებს ან ფრანცუზებს, მაგრამ თუ კი ისინი არ უკადრისობენ ინგლისური სიტუვის „პარლამენტის“ ხმარებას, ჩვენ რათ უნდა ვიუკადრისოთთ?

შენიშნეთ, რომ ამ საგანში სლავიანთოვილები, ჩვენი პატრიოტების არ იყოს, იმას კი არ ქადაგობდენ — მწერლობა ხალხის ენას უურს უნდა უკდებდესთ, ხალხის

მდიდარი დექსიკონით უნდა ხელმძღვა-  
ნელობდესთ, სამწერლო ენა ხალხის  
დაპარაკს უნდა უახლოვდებოდესთ. ეს  
რომ ვთქვათ, ჭეშმარიტება გამოითქმო-  
და მათი პირით. არა, ისინი იმას ქადა-  
გობდენ—სწორეთ ისე, როგორც დღეს  
ჩვენი პატრიოტები ამბობენ, რომ მწერ-  
ლობამ სიტუვებიც და სიტუვის წერი-  
ლობაც უნდა აიღოსთ ქველის მწიგნო-  
ბრულის, დავიწეუბულისა და მკვდარის  
ენისაგან. შენიშნეთ, რომ რუსული ენის  
გამამშვენებლადა და გამამდიდრებლად  
სლავიანოფონილები კი არ გამოდგენ, არა.  
უკროპის განათლების მომხრე მწერლებ-  
მა: პუშკინმა, ლერმონტოვმა, გოგოლ-  
მა, ლერცენმა და სხვ. გამდიდრეს ეს  
ენა მით, რომ ხალხის დაპარაკს დაუ-  
ხლოვეს მწერლობის კიდო, რომ ხალხის  
ენისაგან მწერლობაში ათასობით შემოი-  
ტანეს ახალი სიტუვები და სიტუვის-

წეობილობა... უენიშნეთ, კიდევ, ოთმ  
არც შიშკოვგის, არც ხომიაკოვგის, არც  
პირებებსკის, არც ა. გრიგორიევის  
ენა რესის ხალხის არ ესმოდა, სწორეთ  
ისე, ოთგროვც დღეს ჩვენს ხალხს „ივე-  
რის“ მწერლების ენის გაგება უჭირს...

სლავიანოფილობის მეორე თვისებია ის  
იუო, რომ უცხოეთის ცხოვრებას, ძალას,  
მოქრათბას და განზრახვას უკრს სრუ-  
ლიადაც არ უგდებდენ. ჩვენს დროში ვერც  
ერთი ხალხი, რაგინდ ძლიერი, ან დიდი  
იუოს, თავისთავად ვერ იცხოვრების ისე,  
ოთმ სხვა ხალხთან დამოკიდებულება ან  
განწყობილება არ ჰქონდეს. თუნდ მართ-  
ლაც შეეძლოს ამ ხალხის თავის თავად  
განკერძოებული ცხოვრება, იმას ხომ მა-  
ინც ვერ იტევის, ჩემს დღეში არც ერთ  
სხვა ხალხთან შეტაკება არ მომიხდებათ?  
რუსეთზე ათასჯერ უფრო ძლიერი იუო  
საფრანგეთი; მას მარტო თავისი დონი-

თა და ქალით ცხოვრება შეეძლო, არც  
სხვისი დახმარება სჭიროდა, არც სხვა  
ქვეენების მწერლობისგან ან ტეხნიკურ  
მეცნიერებისგან ჰქონდა რამ მისადები,  
არც სხვისი ჭია და გამოცთილება ენ-  
დომებოდა, არც ფული ჰქონდა სასესხე-  
ბელი, არც არაფრის ყიდვა იურ მისთვის  
საჭირო უცხოებაში, მაგრამ ხომ უველამ  
იცის, ახლა რა საშინელი ზიანი მისცა  
მას უცხოეთის დაუკვირვებლობამ, უცხო-  
თის ენის, ქალის თუ მიმართულების  
შეუსწავლებლობამ... თუ ამისთანა ზიანი  
საფრანგეთს დაემართა, რუსებს აბა რო-  
გორ გამოადგებოდა უცხოეთის მიგიწუგ-  
ბა, როცა მისი გონებითი, ეპონომიური  
და ტეხნიკური ცხოვრების უძიავრესი  
საჭირო მასალები რუსეთმა უცხოეთს უნ-  
და მოთხოვოს? სლავიანოფილებს ეს არ  
ესმოდათ. მათ ეგონათ, რომ ჩვენს დო-  
ქიაც შესაძლებელი იქნება ისე „მოწვე-

ტილად“, ისე განუვითარებლად იცხოვროს რუსეთმა, ისე უური და თვალი არ ათხოვოს უცხოეთს, როგორც ითანხე მრისხანებს დროს იყო. ამისგამო სლავიანთოვილები არც უცხოეთის მწერლებს ადევნებდენ თვალს, არც უცხოეთის გონებითს მოძრაობას, არც მის მიმართულებასა და სურვილს. მაგრამ მათი უმთავრესი განზრახვის — სლავიანების გათავისუფლების თუ შეერთების ასრულება ისე ხომ ვერ მოხდებოდა, რომ უცხოეთს ამ საქმეში მონაწილეობა არ მიეღო, ესე იგი არ ეწინააღმდეგებია? მაშასადამე, სლავიანთოვილებს მარტო რუსეთში კი არ უნდა ემოქმედათ, მარტო რუსეთის ხალხის გადვიძებისათვის კი არ უნდა ეშრომათ, უცხოეთლების შეგონებაც, შეჩერებაცა და შეკავებაც უნდა დაეწიოთ. უცხოეთლების გულში სლავიანების შესახებ კაცობრივი გრძნობა უნდა გაეღვიძებიათ, უნდა უც-

ხოეთი აედელვებიათ იმ სურათის გამო-  
 სახვით, როგორსაც სლავიანების გაჭი-  
 რვებული მდგომარეობა წარმოადგენდა.  
 მათ უნდა აეხსნათ უცხოეთისთვის, რომ  
 სლავიანებიც დვითის გაჩენილი ადამიანები  
 არიან, რომ გონება მათაც ჰქონიათ,  
 რომ სლავიანების პოზია, მწერლობა,  
 მუზიკა, ჩვეულებანი და სხვა ამ გვარი  
 ოვისებანი უფელი განათლებული კაცის-  
 კან პატივისცემას მოითხოვენ იმ ხალხის-  
 თვის, რომელსაც ამდენი გაჭირვება გა-  
 მოუვლია, ამდენი უშრომია და დღეს პი-  
 საცოდავი მონობა დუპავს. რაკი ამისთანა  
 ქადაგებით სლავიანებს ბლომად გაუჩნდე-  
 ბოდენ მომხრენი თუ თანამკრძნობნი უც-  
 ხოეთლებს შორის, სლავიანოფილებს  
 თვითონ ეს სლავიანები უნდა გაეძლიე-  
 რებიათ იმ ცოდნისა და აზრების გად-  
 მოდებით, რომელნიც დღეს მარტო უც-  
 ხოეთში იპოვიან, და რომელნიც ხალხს

აღვიძებენ, აძლიერებენ, გაბეჭდას და გამარჯვებას აძლებენ... მაგრამ სლავიანოფილების მთელი ეს ნაწილი შრომისა სრულიად მივიწევებული და უპუგდებული ჰქონდათ.

იმის მაგიერ, რომ ეს მათი საქმის-თვის საჭირო მოვალეობა შეესრულებიათ, ისინი--სწორეთ ჩვენებურ ნატრიოტებსავით-- მოღალატედ სივლიდენ იმ მწერლებს, ვინც ამ გზას ადგა... მოღალატედ სივლიდენ და შეურაცხ-ეოფლენ ბრიუჯულად, ამიტომ რომ ბოლოს გაიგეს, შემცდარი ვიქავითო, და ბოლოს თვითონგე დაიწევს უცხოეთში წერა და მოქმედება, დაიწევს უცხოეთის ენებზე ირთშიურების ან გაზეოთების გამოცემა, უცხოეთში ქადაგება... ზოგიერთი ჩვენს ნატრიოტებსაც კი დაემართათ ამისთანა სირცხვილი...

სლავიანოფილების მესამე თვისების ის იქთ, რომ გარებან შეხედულების, გარე-

კან საქციულის და სიტყვას ისინი უთ-  
გებლოფის მეტს მნიშვნელობას აძლევდენ,  
ვინემ თვითონ საქმეს ან მის არსებითს  
მხარეების. ისინი ცდილობდენ, რომ რუს-  
გლეხივით ჩაეცვათ ოანისამოსი, თმა  
ირგვლივ შამოებრიჭათ, წვერი მოეშვათ,  
გორგა ესვათ... მათ ეგონათ ხადხიან  
დასხდოდების, ხადხის ამაღლება ამაში  
შდგომარეობსთ. ხაკერდის შარვალის ჩა-  
იცვამდენ, აირეშემის წითელ პერანგს,  
მოუფითლედ ქამარს შემთირტეამდენ,  
თავზე ქუჩაუდ ქუდი იხურავდენ და ისე  
მიბრძანდებოდენ თავიანთ სოფელში, რომ-  
ლის უგელა გდეხები მათი უმა და მონა  
იქვენ. ხალასისოფის მათი ენა გაუგებარი  
იყო, მათი ოანისაცმელები უცნობი და,  
რასაკირულდია, მათი სიტყვა უნდო,  
ამიტომ რომ საქმით უშეგდებელი წინა-  
აღმდეგობა და მტრობა იყო ამ „განათ-  
ლებულ და გეოდენის მოსურნე მებატო-

ნეებსა“ და მათ გლეხებს შეა. — „ჩვენი  
ბატონია, ჩვენი გამტეავებელი ბატონი,  
მაშასადამე, ჩვენი მტერი უნდა იუთხო,  
მაშასადამე, უფველი მისი სიტეპა მტრუ-  
ლი უნდა იუთხო“. აი რას ოქტომბერი  
გლეხებაცობა აშ გაშია(ზონების ლაპარაკის  
დროს...

ავიწყდებოდათ სლავიანოფილებს, რომ  
მარტო ცარიელი სიტეპით კი არ მოი-  
გება სალხის გული, რომ მარტო „ერო-  
მანერთი გვიუვარდეს“, „ერთობა ვი-  
ქნიოთოთ“, საკმაო როდია, ნამდვილი  
ერთობის დასაარსებლად... ამის გამო  
ისინი სრულიათაც არ იკვლევენ მეცნიე-  
რულად იმ კითხვას, თუ რუსეთის სალხ-  
ში რას მოუხდენია ერთობის დარღვევა,  
რა ძალა უმლის ერთობის დაარსებას, რა  
ჭეოვს ცალ-ცალკე, რა აშორებს სალხის  
სხვადასხვა წოდებას... იმის მაგიერ, რომ  
ეს კითხვა გამოეკვლიათ, გაცალცალკევ-

ის ნამდვილი შიზეზი მოუქებნათ და ეს  
შიზეზი მოესპოთ, ისინი ცარიელ ქადა-  
გებას იმეთრებდენ: „ერთმანეთი გვი-  
გვარდესთ, ერთობა ვიქთნითოთ!“ და ამ  
ერთობის მოსახლეობლად მათ საკმარ ეგო-  
ნათ ერთნაირი ტანსაცმელის ხმარება,  
ერთფეროვანი სიტყვების წამორთობა...“

შეთიხე თვისება სლავიანთვილებისა  
იმაში მდგრადულობდა, რომ უფერდლე  
რომელსამე უცხო ნაციონალობას დევნი-  
დენ. დღეს სემცებს ჩაეჭირებოდენ და  
ლრიალის იწყებდენ: შეგვჭამეს სემცებმა,  
რაც ადგილია, მათ დაიკავესთ, რაც დუქ-  
ნებია, მათ ხელში არისთ, რაც ვაჭრობა ან  
ადებ-მიცემობა მოიპოვება, მათიათ, პურ-  
საც ისინი გვიცხობენ, ხორცსაც ისინი  
გვიჭრიან, წაღებსაც გვაცმებენთ, ტანსა-  
ცმელსაც გვიკერავენთ და სხვ. ხვალ  
ურანცუზებს აუტყდებოდენ და ურანგუ-  
ლი ენის, საქონლის დევნის თუ კიცხვას

იწევბდენ; ზეგ იტალიურ თაქრას ჩა-  
ქაშებოდენ, მაზეგ დაწესებდენ—ინ-  
გლისურ სასმელებს ნურვის სკამსო, ინ-  
გლისიდგან მაშინები ნურავის მთაჭვსო  
და სხვ. და სხვ. აი სწორეთ ისე, რო-  
გორც ამას წინათ ერთმა ჩვენმა პატრი-  
ოტმა დაუბოლოებელი სტატია დაწერა,  
როგორ შეიძლება, თვითი გინმემ  
შოსკოვიდგან კალაჩების (პურის) მცხო-  
ბელი დაიბაროს, განა ჩვენ ხაბაზი ცო-  
ტა გვეაგსო, განა პურის ცხობა ჩვენ  
წინაპრებს არ სცოდნიათო და სხვ. საქმე,  
რასაკვირველია, სლავიანთვილების კიჟი-  
ნით არც კეთდებოდა, არც იცვლებოდა.  
სულ სხვა იქნებოდა, მათ რომ საქმით  
ეშველათ ამ შენიშნულ კნებისთვის, ან ხე-  
ირიანი რჩევა მიეცათ ხალხისთვის, თუ  
როგორ, რა გზით შეუძლია მას ნემცების  
ან ფრანცუზების უპირატესობისაგან თავის  
დახსნა. ესწავლებიათ, იმ დაღიცვილებს —

წემცებივით იმუქაითეთ, მათსავით ისწავლეთ ხელოსნობა და შრომათ, ეს სირცხვილი კი არა, ჩინებული საქმე იქნებათ, და სხვ. და სხვ. ან გაეხსნათ სამოსწავლო და სახელოსნო სასწავლებლები და სხვა ამგვარი დაწესებულებანი, მაშინ რუსთას ადგილად შეეძლებოდა იმ ადგილების ან მდგრმარეობის დაზურობა, რომელიც წემცებსა თუ ფრანცუზებს ჩაეგდოთ ხელში. ისიც მოიფიქრეთ, თუ რა გასაკვირველი უნდა უთვილიურ, რკინის გზის ან სპეციალური სამსახურის ადგილები წემცებს რომ კავებოდათ, რაკი სლავიანოფილები დილიდგან სადამომდი იმას ქადაგობდენ, უცხოეთის მეცნიერება ჩვენ გვავნებით, საჭირო არ არისო უცხოეთის გამოცდილება მიეღოთ, და, მაშისადამე, არც უცხოეთის წესრჩე გამართებდი სამსახურის ასრულება შეეძლოთ? რასაკვირველია, შოული ეს სამსახური და

მთელი ის საქმეც, რომელსაც უცხოეთის სწავლა ან გამოცდილება სჭირდა, მარტო უცხოეთლების ხელში ჩარჩებოდა. ამის გამო, მართლა მთელ რესენტის რომ დაეჭირებია სლავიანოფილების ქადაგება, მართლა უკეთ რესენტის რომ სლავიანოფილების ჭრუაზე ეარათ, უპლანი უმეცარნი დარჩებოდებს, და მთელი სახელმწიფოს უმჯობესი აღვიდები, უპლანი მისი რკინის გზები და ორთქლის გემები, უპლანი მისი ოპაბრიგები და ქარხნები, მთელი მისი აღებ-მიტება, ვაჭრობა, წარმოება და შეძლება სულ ერთიანდ მარტო უცხოეთლების ხელში ჩავარდებოდა. მაშინ რესენტი თავის საკუთარ ქვეყანაში სხვის სასარგებლოდ მეტველ ძროხად გადიქტიროდებს და მართლა ნემცების ან იურანცუზების შინაურად გასძებოდებს, ჰარიების მდგრადარებიად ჩავარდებოდებს... ეს ხომ უმწველია, ამა-

რომ გინდომიც ამგვარი შედარების  
გაგრძელობა, ერთ თვეშიაც გერ გაფათა-  
ვებიდან უგელდა მსგავსების ჩამოთვლას, —  
იმ სიღიღე ანალიზია ასეებობს სლავია-  
ნოფილების და ჩვენ ვიწრო პატრიო-  
ტების შეს... მგრძნია კი, რომ გრძიერი  
მკითხველის დასაჯილდოებლად და მისი  
თვალის ასახილველათ ეს თთხი მსგავ-  
სებიაც საკმარ უნდა იუთს ჯერჯერობით.  
ოუ გინმებ ამ აზრისა და შედარების და-  
რღვევა მოინდობს, ოუ სადმე მისი უსა-  
ფუძვლობის შეწამება მოისმა — მზათა ვარ,  
უფრო დაწვრილებით დაჭუბოუნდე ამ სა-

განს და უფრთ საფუძვლიანად დაუამტბი-  
ცო ეს ხელმეორედ...

### III.

წელიაც ვახსენე სამჯერ თუ თოხჯერ  
ჩვენი პატრიოტები. მართლაც, იმ მო-  
ქმათბამ, რომელიც ჩვენს ქვეყანას ეღია-  
სა ბოლოს, ჩვენში ბლომათ დაბადა ის  
მავნებელი და საზიზდარი ტიპი, რომელ-  
საც შეკრდობის უმჯობესი და უპატიორ-  
ები საწილი უოველგან დევნის და რო-  
მელსაც ზოგან „შოგინისტებს“ ეძახიან,  
ზოგან „ვიწრო პატრიოტებს“, ზოგან  
„კვასნიე“ და სხვ. — ჩვენდა საუბედუ-  
როდ, ჩვენშიაც გამოჩნდა ამ ტიპის  
ხალხი, ჩვენშიაც ხმა და გავლენა მოი-  
ზავა მათმა ვიწრო და ოვალებ-დახუჭულ-  
მა ტვინშა...

საკვირველი ესთა, რომ ამ ვიწრო ან  
ცრუ პატრიოტების შეა ბევრი ისეთია,  
რომ ხმას როდი იღებდენ და ხალხს რო-  
დი აღვიძებდენ იმ დროს, როცა მამუ-  
ლის სიეკარული საშიში რამ იყო, როცა  
მამულის ერთგულ კაცს საზოგადოების  
ტაშის კვრა კი არა, უფროსების რისხეა  
და ლახვრა ელოდა...

ისიც არის საკვირველი, რომ მას  
აქითა, რაც საზოგადოებამ აშკარად გამო-  
სოქვა თავისი მხერვალე თანაკრძნობა  
მამულის ბედზე, ისეთი შირებიც გაპა-  
ტრიოტდენ -- გაცრუპატრიოტდენ,  
ვინც უწინ პატრიოტობას სისულელედ  
სთვლიდა, ვინც აშკარად კოსმიობრუ-  
ტობდა, ვინც შე, მაგალითად, სულე-  
ლად იმიტომ მთვლიდა, რომ პატრიო-  
ტია, მაში რასაკვირველია სულელი იქნე-  
ბათ! დასკო ბედის ჩარჩის ტრიალი!  
ებბებ შირები დღეს იმდენათ გაცრუპა-

ტრიოტდენ, რომ ათიათასჭერ გადამა-  
ჭარბეს ჰატრიოტობაში!.. ადვილათაც  
შესაძლებელი იუთ ჩემი გადაჭარბება:  
კრიფი ჩემი ქვეუნის ბედნიერებად არაოდეს  
არ მიმაჩნდა, უმეტოებას ჩემს დღეში  
არ ჩაფიცვდიდი ჩვენის ხალხის იდეალად,  
არასოდეს არ ვიტიქრებდი და არ ვი-  
ტეოდი, ნეტავი იმ დროს მოვესწრო,  
რომ ჩვენს ქვეუანას ფარნავაზ მეფის  
დროინდელი წესები მიეღოს მეთქი...  
მაშასადამე, ახლა უოველ ჩვენს ცრუპა-  
ტრიოტს, ამგვარი ხეპრული აზრების  
ცრუ-მომხრეს, ადვილად შეუძლია სოჭვას  
ჩემზე, რომ მამული არ მუვარუბია და  
მისი კეთილდღეობა არ მწამებია... მა-  
გრამ ეს უოველითერი გაკვრითა არის აქ  
თქმული. იქნება ეს ჩვენი „ცრუპატრიო-  
ტები“ მარტო ფარისევლობით არ იქ-  
ცეოდენ, იქნება სასწაულებრივი მათია  
უცები გაცრუპატრიოტება მარტო ანტა-

რიშით არ იქნას მომხდარი, იქნება ჭო-  
გიერთის მათგანში მაინც მამულის მსახუ-  
რების გულწრფელი სურვილი მოქმედებ-  
დეს. ამის გამო თავი დაფანებოთ მათი  
საქციელის დაცინებას, მათს პიროვანს  
მხარეს. და მათი საქმე ისევ გულდამ-  
ჯდარათ, გულგრილად, ჰეტნიერულად  
კაფარჩიოთ.

აქ საჭიროდ ვსითვდი ხეირიანად გან-  
უმარტო ის ჩემი სიტყვა, რომლითაც  
ამგვარ გაცებს ვხატავ. „ცრუპატრით-  
ოების“ რომ ვარქმევ იმათ, ამ სიტყვით,  
იმას კი არ კვიქრობ, ვითომც მამული  
მართვა ფეხებზე ეკიდოთ, ან მარტო  
ფარისევლურად ეძახდენ თავის თავს პა-  
ტრითოტათ. არა, მხოლოდ ის მაქვს მხე-  
დგელობაში, რომ მათი მამულის სიუვა-  
რული შემცდარი და შემაცდენელი სიუვა-  
რულია, რომ უსაფუძლოო და უზროა,  
მათი მოსაზრება, მათი გრძნობის სა-

თუ მეტადი, რომ ეს სიუფარული ხანდახან  
იტრობაზე უარესი გამოდის... მაგა-  
ლითს მოვიუვან, ამიტომ რომ მაკალი-  
თით, ხშირად, საჭმე უფრო ადვილად  
და მაღე აიხსნება, ვინემ ფილოსოფიუ-  
რი მოსაზრებით. მეტის-მეტათა და გულ-  
წროველად უევარს დათვის თავისი ბეჭდი,  
ეს ხომ უველამ იცის. მაგრამ ხშირად  
მოხდება, რომ ეს დათვი, სიუფარულით  
გატაცებული, ბეჭდს ისე მაგრად იხუ-  
ტებს გულში, რომ სრულებით ახრჩოს  
და ჰქლავს. ესეც ხომ უველას გაეგონება.  
ფარისევლობით პი არ შერება ამას და-  
თვი, განგებ პი არ უნდა იმას ბეჭდის  
სიკვდილი, გრძნობის უქონელობის გამო  
პი არ ჰქლავს იგი თავის შვილს, არა.  
ეს უბედურება მას იმიტომ ემართება,  
რომ უგნერია, არ ესმის, თუ რამდენად  
საჭიროა ჰაერი და მოტრალა მისი ბე-  
ლისთვის, თუ როგორ მომაკვდინებულია

მისთვის ნაშეცანი ადერხი და მოგერუბდა... ნამდვიდან გულწრთველი გრძნობა აქვს ამ დაზის, მაგრამ მისი სიუვარული მაინც „ცრუსიუვარულია“, ამიტომ რომ მის ბეჭს ეს სიუვართველი ჰქონავს, სწორედ იმავე ნაირად, — ან იქნება უფრო ადვიდათაც — როგორც აქვარა და ნამდვიდა მტრობა მოჰქონდავდა. უთველთვის, როცა რომელსამე გრძნობას, თავის კამთვენაში გრძნობის წინააღმდეგი შედეგი მოსდევს, როცა, მაგალითად, სიუვარულის გამოთვენას მტრობის შედეგი მოაქვს, ამნაირად გამოთვენილ გრძნობას ცრუ-გრძნობას უქახიან. მეც სწორედ ამის გამო ჩვენებულ პატრიოტობას „ცრუ-პატრიოტობის“ სახელს ვარქმევ... ამ ჩვენი ცრუპატრიოტობის დედა-აზრი, ბურჯი, მოუდანი და ბურთი იმაში მდგრადების, რომ „ჩვენი მამული გვიუვარსო!“

„ჩვენი მამული გვიგვარსო“, — აი რით  
ამჰარტავნობს დღეს ჩვენებული კაცი. ეს  
სწორედ იმას ჰგავს, ამჰარტავნობა იმით  
რომ დავიწერ — წმინდა ჰქერი მიუკარს,  
ან შერი, ან წეალი მეთქი.

ვის არ უმგარს თავისი მამული? სად  
მოიძებნება იმისთანა ქმნილება, რომელ-  
საც დაბადებიდგანვე თანდაქოლილი არ  
ჰქონდეს ამისთანა გრძნობა? კაცს გი არა,  
ზირუტებსაც კი აძლევს ოუნება იმ ად-  
გილის სიუფარულს, საცა დაბადებულა,  
გაზღდილა და გათამამებულა ეს ზირუტ-  
ები. აიევანეთ ძალლი, თუნდ ხურჯინში  
ჩასვით, თავი მოუკარით, თვალი აუნვი-  
ეთ და ისე მოაშორეთ მის სოფელს,  
გადაატარეთ ცხრა მთა, .... ნახავთ, რომ  
რამდენსამე დღეს იქით ის თავის სო-  
ფელს მოქებნის, თუნდა ახალ ადგილს  
უმჯობესი სასმელ-საჭმელი და მოვლა  
დახვდეს. — მისთვის ეს სოფელი მაშე-

დია. სხვაგან ის წუწუნობის, იტანჯება,  
და ხშირად კიდეც გვდება იმ აფათიმუ-  
ობითი, რომელსაც უვეღა ხადახის ენაზე  
ჩინებული სახელი აქვს. „მამული ს  
სევდა“. აიგვანეთ ცხენი, შევექით  
ზედ, გადატარეთ ისევ ცხრა მთა, გარ-  
გად ასვით და აჭამეთ ახალ ადგილს,  
და გაუშვით თავისუფლად. ნახავთ, თუ  
ისევ თავის სოფელში არ დაბრუნდეს,  
თუ გზაზე არავინ მოიჩარა, ან მგლებ-  
ია არ შექამა. ეს მაგალითი იშვიათი და  
ძვირი საშინევია, მაგრამ ის ხომ უვეღაშ  
იცის, რომ როცა ცხენი თავის პატრო-  
ნის სახლის მიუახლოვდება — სიხარულით  
ხვიხვინს იწყებს და იგეხს აუჩქარებს,  
თუნდ გარგა დაზათიანად იქოს გამაძლა-  
როც... თუ კი პირუტევისთვის არ და-  
უკდია ბუნებას ამ გვარი გრძნობა, ნუ  
თუ კაცს მოკლებდა? მართლაც, იმისთა-  
ნა კაცის შეხვედრა, რომელსაც მამულის

სიუკარული არ მოეძებნებოდეს გუდშა, სწორეთ იმნაირადვე იშვიათია, როგორც ბუზიანის ან ცალ-თვალა კაცის დაბადება. ბუნებაშ მარტო ათასში ქროჭერ იცის ხლომე ამ ნაირი ნაკლის გამოჩენა...

რომელი კაცია ისეთი, რომ მამული არ უკვარდეს? ხშირად მოხდება ხლომე, რომ კაცის ამ სიუკარულის გაგება თვითონაც არა აქვს, მაშასადამე, ადვილად შეიძლება, სხვებია სრულიად ვერ შენიშნონ მას ეს გრძნობა. მაგრამ აიუვანეთ ეს კაცი და თავის მამულის მოაშორეთ, მაშინ ნახავთ, უკარებია მას მამული, თუ არა!! ან მეორე მაგალითს გირჩევია: სრულიად უსწავლელი კაცი გამოიყენეთ მიურუებული სოფლიდგან, ისეთი, რომ არც ჰატრითორცან რაა გაეგონოს, არც მამულის-სიუკარული წიგნებში ამოუკითხოს, და ამასთანა კაცის წინ მისი სამშობლო უკინოს ვინშე გარეშე პირმა, ან

მისი ხალხის ძაგება დაუწეოს, ნახავთ, მა-  
შინ, რა ნაირი კნებით აუნოება მას პირისა-  
ხე, როგორ გაწითლდება და გამწარდება,  
რა ნაირად დაიწებს თავისი ქვეუნისა  
და ხალხის დაცვას ან გამოსარჩდებას!..

ამ გვარი სიუგარული უკელას აქვს, ვი-  
სტ კი სედი პირში უდგია, სწორედ  
ისე როგორც დედისა ან დის სიუგარუ-  
ლი უდგელ სორტ-შესხმულ აღამიანს და-  
ნადებიდგანვე გამოუვება. ვის არ აეგსება  
თვალი ცრუმლებით, რომ და უკინონ, ან  
და გაუქნატოურონ? ვინ იქნება იმდენად  
უსუსერი, რომ მათოფის თავი არ გა-  
მოიდვას? აღამიანის გუდში მამულსაც  
სწორედ იმისთანა ადგილი უკავია თა-  
გისთავად, როგორიც დედის ან დის სი-  
უგარულის და პატივისტებას უჭირავს...

შაშესადამე, არც დიდი გაშეგაცობაა, არც  
სატრანსპორტო რამ არის, იმათ გიქადოდეთ  
— „მამული გვიუვარსო!“ ამის თქმა მარ-

ტო ჩვენს საკუთარ რეგისტრის გამოაქმნავის და მარტო დასწავლის უკედას, რომ ერთობ დაბლა კოდენციალური განხილის განვითარებით, თუ ამ გვარი უძრავ ბუნებითი გრძნობა იშვიათს ან განვითარებულ გმირობად ჩაგვითვლია. რომ გამოვიდე მინდორზე და კვეხსა დავიწეო — ძლიერ მიუვარს მე\_დედა ჩემი, რას ემსიგავება ეს ჩემი დაპარაკა? სომ უკედას შეეძლება მინასეუხოს სრული საფუძვლებისნობით: ბიჭი, რას მიედებ-მოედები? დედა ვის არ უუვარსა, დედის პატივისცემა ვის არა აქვს? ისეთი რამ უნდა დაიტრაბახო, რაც მართლა მნედი ან იპოვიათი იუოს, თორებ „ქაცი არ მომიკლავსო“ რომ სიქვა, ან ტალახის მაგიერ ბურსა და უკედას გჭამო, ეგ ხომ უკედას შეუძლია სიქვას!“

როგორც ამის თქმა სისულედე, სწორედ იმსაირივე სეპრობაა იმით იკვენი-

დეს კაცი, რომ მამულს ვემსახურები, მის სიკეთეს ვექებ, მის სასარგებლოდ ვშრომობო. ოომული გონიერი კაცი და-იწებს ქადილს, რომ დედა ჩემს ჰატივს გსცემო, კარგათ ვასმევ და კარგად ვა-კუევო, მის ხეირიანად რჩენას ვცდილო-ბო, მისი კეთილდღეობისთვის ვშრომო-ბო? ხომ არავინ? ხეირიან და გონიერ საზოგადოებაში სწორედ ამნაირათვე სა-უკადრისა იქნებოდა ქადილი, რომ მა-მულს ვემსახურებით.

თქვენ წარმოიდგინეთ, რა სიცილს და ხარხარს დააურიდენ საფრანგეთში ან ინ-გლისში იმისთანა კაცს, ოომულიც იმის თქმას გაბეჭავდა — ჩემი მამული მიუვარს და ჩემი სამშობლოს სიკეთისთვის ვშრო-მობო!.. ეს საუთველთაო მოვალეობაა, ისეთი, რომულიც უთველ ხეირიან კაცს, გინც ხეპრე, ქურდი ან უსულო არ არის, უნდა ჰქონდეს. და იმაზე უმეტესი სი-

ტუტუტე რადა იქნება, გაცი პირდაპირ  
ამტკიცებდეს, არც ხეპრე, არც ქურდი,  
არც უსულოთ ვართ!

შაგრამ, იუმცა საერთაო და საუთველ-  
თაო მოვალეობაა ეს მამულის მსახურება,  
ჩვენში ის ჯერ იმდენად როდია გაფრცე-  
ლებული, რომ უკელამ კარგად იცოდეს,  
რაში მდგომარეობს ეს მოვალეობა ან  
უველას ესმოდეს, თუ რაგვარად უკრო  
ადვილი და გამოსადეგია მისი ასრულება.

შართლაც, რაში მდგომარეობს ეს მსა-  
ხურება? რაში მდგომარეობს ის საზოგა-  
დო სიკეთე, რომელიც ჩვენს მამულს სჭი-  
რია? რა ხეირი უნდა მოუწანოს მამულს  
მისმა შვილმა, იგი მას რა წაირად უნდა  
ემსახუროს?

## IV.

სხვადასხვა პირს სულ სხვადასხვა ნაირად ესმის ეს კითხვა, სულ სხვადასხვა ნაირად ეხატება თავში ეს სიკეთე. ჩვენს ქვეყანაში იმისთვის პირიც მოიძებნება, რომელსაც იქნება ეგონოს, რომ საქართველოს სიკეთე მაშინ იქნებათ დაფუძნებული, როცა უფერდო ქართველი, უფელი კაცი, საქართველოს ნიადაგზე მცხოვრები, მართლმადიდებელი სარწმუნოების იქნებათ. შესაძლებელია, რომ იმგვარი მთაზრენიც მოგნახოთ ჩვენში, რომელია აზრით საქართველოს სიკეთე იმაში მდგომარეობს, რომ უფერდო ქართველმა ან საქართველოში დასახლებულმა შირმა წერა-კითხვა და თვედა იცოდეს. სხვებს, უფრო მომეტებულ რიცხვს, ის აზრი სწამს, კარგი მაშინ იქნებათ, რო-

ცა ქართული ენა უველას ჩინებულად  
ეცდონებათ... უველას შეხედულობას აქ  
არ მოვიუვან. რამდენი კაცია, იმდენი  
შეხედულობაც არის ჩვენში. საქმე ისაა,  
—რომელი ამ შეხედულებათაგანი სწო-  
რეა, და რომელი—შემცდარი.

მკითხველი ადვილად დამეთანხმება,  
რომ ათასი ამისთანა შეხედულება რომ  
ჩამოვთვალო, ჩვენს ქვეყანაში გავრცელებ-  
ბული, უველა ერთიანად ცალ-მხრივი იქ-  
ნება. ვინ იტუვის, მაგალითად, რომ  
წერა-კითხვის და თვლის ცოდნა გარგი  
ან სასარგებლო არ იუთს? მაგრამ სა-  
კმარა, განა, მარტო წერა-კითხვის ცოდ-  
ნა გაცის ბედნიერებისთვის? რამდენი  
იმისთანა გაცი გვინახავს, რომ წერა-  
კითხვა კი არა, ისტორიაცა და გეოგრა-  
ფიაც ცოდნითდეს, მაგრამ მაინც უძლური  
ან უბედური დარჩენილია იუთს? ასე ითქმის  
ქართული ენის ცოდნაზედაც. იუთ დრო,

როცა მოედო საქართველო მარტო ქართულ ენას ხმარობდა, მარტი ქართული იცოდა, და გარეადაც იცოდა; როცა შემდეგი პი არა, სასამარლოებებიაც ხმარობდება ამ ჩვენს ენას... მაგრამ ნუ თუ იმ ბედნიერ დროში არათერი ჰქოლებია ჩვენს ქვეყანას და ხალხს? ნუ თუ მარტო ქართული ენის ცოდნამ გააძლიერა საქართველო, და ნუ თუ ჩვენი მამულის დაცუმის მიზეზი მარტი ის იყო, რომ ჩვენმა წინაპერებმა ქირთული ენა დაივიწევს? რასაკვირველია, დედა-ენა ქვირვასი რამ არის: ის ისეთი მძღვანელი კავშირია, რომელიც საზოგადოებრივ ძალას შეადგენს და ხალხს ერთი მიზნისკენ წინ წაწევას უძღვილებს. მაგრამ, როგორც კავშირი, როგორც ძალა, ის მარტო საშუალებას შეადგენს, და არა მიზანს, მაშასადამე, საქმე ის უნდა იყოს, თუ თვითონ ეს მიზანი რაში უნდა მდგომარეობდეს?

გაკვრით პიდეც გსტევი წელან, რომ  
ამ კითხვის გარჩევა იმ კითხვის გამო-  
ბეჭდებაზეა დამოკიდებული— თუ რა მ  
და სცა წვენი მამული.

როცა ამ უკანასკნელ კითხვას გამო-  
ვიყვალებო, პირველიც განმარტებული გვე-  
ქნება.

— როგორ თუ რამ დასცაო ჩვენი მა-  
მული, შემომკიდებს ვინმე ცრუპა-  
ტრიოტი, იმან დასცა, რომ პატარა  
სალხი ვიუავით, და დიდრონები შემო-  
გვესიათ. ვერ გაუძელით, და ის იუთ  
ჩვენი დაცემის მიზეზი! მოითმინეთ,  
ბატონო. პატარა, ძლიერ პატარა სალხი  
იუთ საქართველოს სალხი, სპარსელები,  
თან შედარებით, მაგრამ ხომ ვერ დასცა  
ჩვენი მამული დიდმა სპარსეიმა? დიდრო-  
ნი სალხნი გახლდეს ის სალხნი, რომელ-  
ნიც ჩვენს ქვეყნას მურვანურუმ, ჩინ-  
გის-უაენმა ან თემურლანგმა დაასია, მა-

კრამ ამ სალხებმა ხომ ვერ მოსპეს ვერც  
 ჩვენი განვითარებული არსებობა, ვერც  
 ჩვენი თვისტომობა? თსმალეთი ჩვენზე  
 ათასჯერ უფრო ძლიერი და დიდი იქ,  
 მაგრამ ხომ ვერ მოგვერია მაინც, ხომ  
 ვერ ამთხოცა ისტორიიდგან ჩვენი სახე-  
 ლი და დიდება? თუ კი ოცი საუკუნე  
 გავუძელით ამდენ დიდრონ სალხებს, თუ  
 კი ამ ოცი საუკუნის ბრძოლაში იმდენათაც  
 ვერ დაგვდალა, რომ მათს დამძლევს  
 ჩვენს ქვეყანას იმისთანა ბრწყინვალე და  
 სახელმოვანი შეფობა ეღირსა, როგორც  
 ერეპლე მეორისა, — რომლის შეგავსიც  
 ჩვენ დავით ადმაშენებდისა და თამარ მე-  
 ფის აქით ადარ გვინახავს, — ნუ თუ ეს  
 იმას არ მოასწავებს, რომ ამ შემთხვევა-  
 ში მარტო დაღალულობას კი არ უმო-  
 ქმედებია, მარტო მცირე ტომობას კი  
 არ უმოქავნია? პატარა სალხი ვიტავით,  
 დიდრონუბიან შეტაპებული, დიდრონუბის

მებრძოლი, მაგრამ მაინც გძლებდით, მაანც მარჯვენი ვიუავით. რა იუთ მიზე-ზი? ის იუთ, რომ თვითონ ეს დიდოთ-ნი ხალხი ჩვენ მარტო რიცხვით გვერუ-დენ, და ხანდისხან მარტო იმით გვადნიდენ, რომ თითო ჩვენს მეომარს თცი ღსმალის ან სპარსეთის მხედარი წინ უხვდებოდა. მაგრამ თითო თითოდ რომ შეგვედარებია ერთი ჩვენი მხედარი ერთი მტრის მხედრისთვის, ეს უკანა-სკნელი ვერათვრით ვერ სჭიბნიდა პირ-ველს. ორივეს ერთნაირი იარაღი ჰქონ-და, ორივე ერთნაირად გაზრდილი იუთ, ერთნაირი სწავლის პატრონი... ჩვენს მხედარს ის უპირატესობაც კი ჰქონდა მტრისაზე, რომ თავისი მამულის, სახლ-გარის, ცოლ-შვილის დასაცველად იბრ-ძოდა, და მტრისა კი ომობდა სხვის ასაკლებად. მტრისთვის სულ ერთი იუთ, აიკლებდა — ქართველს, თუ ლეპს, თუ

ოსს, თუ რესს. რაკი იმას ქართველი გამწარებულებად უწინააღმდეგებდა, მტერი მას თავს ასებებდა და სხვაგან მიღიოდა, იქნება გამარჯვება და აკლება იქ უფრთ ადგილად შევიძლოთ... უველამ იცის რამ-სიდიდე ძალას შეადგენს ოშეი და ბრძოლაში ის თავისწირულობა, რომლითაც პაცი თავის ოჯახსა და პერას იცავს... ეს გრძნობა ხშირად გვამარჯვებინებდა მტერზე, ამ გრძნობით ვსჭიბდით მტერს, ეს გრძნობა იყო იმის მიზეზი, რომ ასი ქართველი ათას ამკლებს ერეოდა და უკუაქცევდა... თორემ სხვა მხრით უველავერში სწორნი ვიუავით მტერთან, რიცხვს ან რაოდენობას გარდა.

ასე წარმოებდა ჩვენი ცხოვრება. მაგრამ ბოლოს ქვეყნის ისტორიაში ახალი ძალები გაჩნდა. ზოგიერთი ხალხი მეცნიერებაში ერთობ დააწინაურა, და ვინც ამ მეცნიერებას არ მიეკარა, ის უწინდე-

დივით სუსტი დარჩა. ომის ხასიათიც  
შეიცვალა. ჯარებისთვის ახალი იარაღი  
შემოიღეს, რომელის გაკეთებასაც და ხმა-  
რებას დიდი ცოდნა და მოხერხება სჭი-  
რდა. ისეთი ზარბაზნები მოიგონეს,  
რომელსაც წინ ვეღარ დაუდგა ვერც ერ-  
თი ჩვენი ციხე-დარბაზი. ჩვენი მამა-  
შაპური ციხეები ქართლში და იმერეთში,  
თათრებისა მდე ახალი ზარბაზნებით, ცხრა  
მთის სიშორიდან დაგვინგრიეს. იმათ ევ-  
რთშაში ეშოგნათ ეს ზარბაზნები, და  
ჩვენ არც გი ვიცოდით, თუ ამ ნაირი მან-  
ქანა სადმე არსებოდა... და რაც მტრის  
რიცხვს ჩვენთვის თცი საუკუნის განმა-  
ვალობაში ვერ დაეპლო, ის თცი წლის  
განმავალობაში მტრის და წინაურებაში  
წაგვაროვა: მაშინ უცხოეთის წინ დაიჩრა-  
ქა ჩვენმა გონიერამ, რაკი სცნო, რომ  
უცხოეთი ჩვენზე უფრო ასტატი, უფ-  
რო მეცნიერი, უფრო გრძიერი უფრი-

ლა. რაკი ჩვენ რწმუნება დაგვარგეთ ჩვენს  
თავზე და გონიერზე, რაკი ჩვენს საკუთარ  
გულში ბრძანდ და ხებრად ვიცანით თა-  
ვი, რაკი ის მორალური ქადა ხელიდამ  
გაგვიცურდა, რომელიც ამაფად შეგვატა-  
ბებდა სოლმე ათვერ თუ ასჯერ უთვრო  
მომეტებულ მტერს, მას აქით ჩვენ მოგ-  
ტედით და წაგხდით. მტერმა კი არ  
დაგვცა, ჩვენმა საკუთარმა „რწმუნების  
დაგვარგვამ“ წაგვახდინა. ადარ გვწამდა  
ჩვენი თავი, უცხოეთი კი ჩვენს თვალში  
რაღაც უზენაეს ქმნილებად იხატებოდა.  
აი, მარტო მაშინ გაგვიჭდა ტვინში ის  
შანიკა, ის ახალი, უცნობი ქალის შიში,  
რომელიც სუირად შილიონებისგან შემ-  
დგარ სალხს ათას კაცს უმორჩილებს...  
ამის მაგალითს ჩვენ დღესაც ვხედავთ  
ინდოეთში. თრასი შილიონი ინდოეთდე-  
ბი მორჩილებაში უაყს დცი ათას ინგლი-  
სელების... რას უზამს ეს დცი ათასი

კაცი, თუ გინდ თითომ პრეზის ზარია-  
ვანიიც ჰქონდეს, მთელ თრასი მიღიო-  
ნისგან შემდგარ ხალხის, ეს ხალხი რომ  
კონკრიტულ დაჩაქუტყვლი არ იქნას ამ თვი  
ათასი კაცის მეცნიერების წინ?

აი, ბატონო ჩემთ ცრუბატრიოტო.  
რამ დაჩაგრა, რამ დასცა და უკან და-  
სწია ჩვენი ქვეყანა. უკან დასწიათ, რომ  
ვსოქვი, სწორი სიტევა არ მისმარია.  
დამიჯერეთ. დღევანდელი საქართველო  
ათასჯერ უფრო წინ წაწეულია იმ საქარ-  
თველოზე, რომელიც მეთექვსმეტე, ან  
მეჩვიდმეტე, ან მეთვრამეტე საუკუნეში  
ისე მამაცურად თავს იჩინდა. ხალხიც  
მომეტებულია დღეს შიგ, სწავლაც დღეს  
უფრო დაწინაურებულია, სიმდიდრეც უფ-  
რო გავრცელებულია, ... ერთი სიტევით,  
უკელასურით უფრო მძლავრია დღეს ჩვე-  
ნი ხალხი, ვინემ უწინ იქო. საუბედუ-  
როდ, მაშინ ჩვენი მეზობლებიც ჩვენსა-

ვით განვითარებული და განათლებული იქვნენ, და არა ჩვენზე უმეტესად. დღეს უველა ჩვენი შეზობლები, და მთელი უცხოეთი, ათი-ათასჯერ, ან ასი ათას-ჯერ უფრო დაწინაურდენ უწინდელზე, ჩვენ კი მარტო ათასჯერ უფრო გაგ-მაგრდით... აი ეს გარემოება შეადგენს ჩვენს უბედურებას, თორემ ჩვენი შეზობ-ლები რომ ჩვენზე უფრო არ დაწინაუ-რებულიუვენ, დღესაც ისე ადვილად შე-გვეძლებოდა მათი მორევა და მათ შეა მარჯვედ გამოვარიშვა, როგორც უწინ გვჩვეოდა...

ეს მისრქანეთ ახლა, რა წაგვწევს წინ, რა დაგვაწინაურებს იმოდნათ, როგორც სხვა ხალხი დაწინაურებულა? ამაში ხომ უველა თანახმანი ჭართ, რომ მათი მოწევა, მათთან გასწორება შეუძლებელი საჭი არ არის, შავრამ ის უნდა გავშინჯოთ, რა გზით შეიძლება ამ მიზნის მიწევა?

ნუ-თუ შესაძლებელია სხვის ჯობის,  
 თუ კი ჩვენ ამ სხვას არ გავიცნობი?  
 ნუ-თუ მარტო ის დაგვაწინაურებს, თუ  
 ჩინეთის კედლით შემოვსაზღვრეთ ჩვენი  
 ქვეყანა? თუ კი სხვის მწერლობას არ  
 შევისწავლით, სხვის მეცნიერებას არ შე-  
 ვიძენთ, სხვის გამოცდილებას არ დავი-  
 მკვიდრებთ, ნუ-თუ მარტო ძველი ჩვენი  
 ენის გაზეპირებით, ძველი ხელნაწერების  
 ტრიალით, ძველი ჩვეულების გახსენე-  
 ბით შეგვეძლება იმ ძალის მომოქება,  
 რომელიც სხვებთან გაგვასწორებს და  
 სხვის პატივს შეგვძენს? ნუ-თუ მარტო  
 ქართული ენის შემწეობით შეგვეძლება  
 ჩვენ—ან შეეძლება ჩვენს ახალგაზღვობას  
 —ის მეცნიერება შეიძინოს მოკლე დრო-  
 ში, რომელიც სხვებს მთელი საუკუ-  
 ნოების განმავალობაში მოუგროვებიათ?  
 ნუ-თუ პატრიოტულ გრძნობას ახმობს ან  
 სდევნის სხვისი ენის შესწავლა, სხვისი

ცხოვრების გაცნობა? ნუ-თუ ვაშინგტონი საკლები ან უხეირო პატრიოტი იქთმით, რომ იყრანგული ენა იცოდა, ან ინგლისის კარგი და ავი ჩინებულად შესწავლილი ჰქონდა? ნუ-თუ ბატ. ილ. ჭავჭავაძეს ქართული გული არ უძიერის და სამდგილი ქართული გრძნობა არ აღელვებს, რაკი მარტო რუსული წიგნებით გამოზდილია, რაკი რუსეთში შეუძენია მთელი თავისი ცოდნა, და რუსულ სასწავლებლებში გაუტარებია მთელი თავისი ახალგაზდობა? კაცი იუთს, თორები, სადაც უნდა ისწავლოს, კაცად მაინც დარჩება და გრძნობა მაინც არ დაუპარგება. მარტო უსუსურები ხდებიან და ფეხულებიან სხვის გაკლენის ქვეშ, და უსუსურს გინდ სიკვდილამდი ძირად გაუხედე, გინდ ნიადაგ ჭიშას ასწავლიდე, ხეირის მოტანა მაინც თავის დღეში არ შეეძლება...

რასაკვირველია, ჩინუბული საქმე იქნებოდა, ჩვენ რომ ახლა საშუალება გვქონდეს მთელი ეკრობის მეცნიერება გადაუცემ წვენს ხალხს ან ჩვენ ახალგაზდობას ქართულ ენაზე, ქართულ სასწავლებლებში. მშვენიერი რამ იქნებოდა ეს, და მთელი წვენი შეძლება ან დონე იმას უნდა მიემართოთ, რომ თდესმე დარსდეს წვენში ამ გვარი ნეტარი მდგომარეობა. მაგრამ დღეს, როცა ამის საშუალება არა გვაქვს, და როცა აუცილებლად საჭიროა, რომ უწინდელს გონებითს სიბრმავეში არ დავტოვოთ წვენი საზოგადოება, ბრმაც კი უნდა მიხვდეს, რომ უღველი საშუალება, რომელიც ამ საზოგადოებას გონების განუვითარებს და გააძლიერებს, რომელიც მას გულში იმედს ჩაუნერგავს ან შეარმი ძალას მისცემს, სასარგებლოւ იქნება წვენის ხალხისთვის. ნუ-თუ, მაგალითად, კარგს იზამდენ იღ. ჭავჭავა- ბა

ვაძის მრჩევლები 1856-ში, რუსეთში  
წარედა რომ დაქმადეთ მისივის და ერ-  
ქვათ სჯოს ქართულად გამოიზარდო,  
რომ ქართველობის გრძნობა არ დაგე-  
გარგოსო? ხუ-თუ ამით სარგებლობას  
მოუტანდენ ისინი საქართველოს? ხომ  
არა? მაში სწორედ ამნაირადვე შემცდარია  
ის, გინც ახალგაზღვდობის ადზრდის და  
საზოგადო განათლების საქმეში მარტო  
ენას ან გარეგან გამართულებას შეჩერე-  
ბია, და არსებით მხარეს,—სწავლის  
შინაარსს ან მიმართულებას კი ივიწყების...

შაცხლვარმა ბრძანა, — როცა ჰერითხეს,  
რომელს ტაძარში უნდა ვიღოოცოთ, რომ  
დმერთან უფრო ადგილად მიაწითო, —  
„ოდონდ ლოცვა გულწრთველი ან მხურ-  
ვალე იუდს, და სადაც უნდა ითქვას, უთ-  
ველგნით ზეცას ავათ: ტაძარშიაც რომ არ  
იუდს კაცი, თუნდ მინდორში ლოცვუ-  
ლობებს წრთველის გულით, დმერთი მის

დოცვას მაინც შეისმენსთ“. ჩვენს მდგრ-  
მარეობას მეტის-მეტად შეეფერება ეს  
მცნება. დიახ, სადაც უნდა ვისწავლოთ,  
ვის შკოლაშიაც ჩვენ უნდა მოვემზადოთ,  
თდონდ კი გულში მამულის მსახურების  
წრთველი ან მხურვალე სურვილი ვიქო-  
ნით და ჩვენი შრომა ნაუთვიერი იქ-  
ნება, მამულს გამოადგება... საუბედუ-  
როდ, ჩვენ ეს გულწრთველობა და გულ-  
მხურვალება, ან უფრო სწორეთ ვსთქვათ,  
ვნება (страсть), გვაპლია.

## V.

დიდი უბედურებაა ჩვენის ქვეყნისთვის  
ეს ნაგლულეგანება. ჩვენის უმაწვილეულის  
უმეტესი ნაწილი თითქო მარტო წაბა-  
ქით მოქმედებს. მათ ჰგავნიათ, თუ  
საზოგადო მოქმედი შირის გარეგანი მო-  
გადეთა შეგასრულდეთ, თუ წარმოგიდ-

გინეთ, რომ გშრომობთო, მეტი ადარა თემი მოგვეთხვებათ. მათთვის თითქო ერთია, გარიგდება ააშ ამ ცრუ შრომით, თუ არა, გაძლიერდება ამით მამული, წამოიზრდება ხალხი, მოახლოვდება მთავალი, თუ არა. თითოეული მათგანი ბურჯუაზულად ცხოვრობს. მას თავისი საკუთარი საქმე აქვს, თავისი კერძო სარგებლობა, და ამ საქმეს, ამ სარგებლობას უნდება უმეტესი საწილი მათის დროისა, უმჯობესი ძალა მათის გონიერისა და გნების. ზოგი თავის კერძო სამსახურს მიწოდია, და უფროსების თვალში შეჩერებას უნდება, ზოგი ვენახს უვდის და დილიდგან საღამომდი იმაზე დარდობს, გაი თუ სეტევაშ ვაზი წამიხდინოსთ, ზოგი მარტო იმაზე ზრუნავს — მომავალი კენჭის ურის დროს გამაშავებენ, თუ გამათეთრებენო, ზოგი მის ზრუნვაშია, გაპვეთილებს ვიშოვნი, თუ არა, ჯამაგირს

მომიმატებენ, თუ არათ... თრი, სამიც  
არ მოიძებნება წვენს ქვეყანაში ისეთი გა-  
ცი, რომ მამულის ან ხალხის შეტი სა-  
ზოგადებებიდან და სადარდებლად არა ჰქონ-  
დეს რა, რომ საზოგადო საქმის შეტი  
არაუკრი ასხოვდეს, რომ მამულის სი-  
პეთის შეტის არაფერი მადა ჰქონ-  
დეს, არას გრძნობდეს... წვენში ამნაი-  
რი კაცის სურათი მწერლობას ჯერ იდე-  
ადათაც არ გამოუხატავს. ამის გამო ავი-  
დოთ რუსული მწერლობიდგან თუნდ ამის-  
თანა უფერული და სუსტი იდეალი, რო-  
გორსაც ტურკენევის ინსაროვი წარმო-  
გვიდგნის მოთხოვობაში „Наканунѣ“.  
დაკვირდით და ნახავთ, რომ თავის მა-  
მულის შეტი ამ ინსაროვს როდი რამ  
უკვარს, როდი რამ სწამს. მსხვერპლად  
ეი არ სწირავს იგი მამულისათვის თა-  
ვის კერძო სურვილს ან მადას, არა-  
ფერი სხვა მადა არა აქვს, არაუკრი სხვა

გერმა სურვილი მის გულს არ ებადება, აშიტომ რომ დილიდგან სადამომდი, უნე-  
ბურად, მის გონებას მარტო მამულის  
მდგრამარება ეხატება... ვნებით აღვსე-  
ბულია ის ამ მამულისთვის. ფეხებზე  
ჭკიდია, თუ რას იტევიან მაზე, ან სა-  
ჭრები რა ექნება სიბერეში, ან მისი ნა-  
თესავები როგორ მდგრამარებაში ჩაფარ-  
დებიან ბოლოს — ამგვარი აზრები მას,  
კიდეც რომ მოინდომოს, აზრად არ მო-  
დის. აყად ხდება ინსართვი. წამლობაზე  
კი არ ფიქრობს, მოსვენებას კი არ ეძებს  
— იქ მიდის და იქ შრომას ეწაფება, სა-  
დაც მამულის სარგებლობა მოითხოვს.  
მისდა უნებურად ქალი შეუევარდება, ისე-  
თი ქალი, რომელიც მზათაა მთელი თა-  
ვისი სიცოცხლე ამავე მამულის სასარ-  
გებლოდ შესწიროს. მაგრამ ამ ქალთან  
განცხრამას კი არ მიუცემა, მის სიუგა-  
რულში კი არ ივიწყებს მამულის სიუგა-

რულს, მის სიკეთისთვის ან კეთილდღე-  
ობისათვის სამსახურში კი არ შედის, ან  
ადგილს და შეძლებას კი არ გამოეპიღე-  
ბა: ამ ქალსაც იგი ისე მიათრევს თავის  
მამულში, ბრძოლის ველზე, თითქო  
სურვინი თან წაეტოს: ერთი სიტყვით,  
ის ვნებით ავსებულია, მას ვნებით უ-  
გარს მამული, და სხვა არც მაღა აქვს  
რამე, არც სურვილი, არც ინტერესი.  
თუ მამულის საქმე კარგად მიდის, ის  
მხიარული და ბედნიერია. თუ მამულს  
უჭირს, ისიც გაჭირვებულია. კერძო  
გრძნობაც არ სუფევს მის გულში. მა-  
მულის ნანგრევებზე ვერ დაამუარებს იგი  
თავის კერძო ბედნიერებას, მამულისთვის  
ფუჭი თხვრით ვერ მოინდომებს და ვერ  
მოახერხებს, შეძლება ან კეთილ-დღეობა  
შეიძინოს. ის ვერ გასუქდება. ოთცა მი-  
სი მამული ასე მყდედ არის, ვერ გა-  
მდიდრდება, ოთცა მისი თანამემამულენი

გადატაკებული არიან, და ნეტარებას ვერ  
მიეცემა, ვერ დაისვენების, ვერ დაცხოე-  
ბა, სანამ მამული კეთილდღეობაში არ  
შევა... ამიტომაც ის პვდება უდროდდ  
იმ შრომაში, ომელიც მარტო მის მო-  
სვენებას და ბედნიერებას შეადგენს...

გვეავს ჩვენ ამისთანა მოქმედი? თქვენ  
ოვითორნ მიეცით ჰასუხი ამ უბრალო  
კითხვას. ნეტავი თქვენ, თუ შეგხვედ-  
რიათ საღმე, ჩვენში, ამგვარი გმირი. მე  
კი გული მიკვდება, რომ ამნაირი კაცის  
ლანდსაც ვერ ვთოლობ ჩვენს ქვეყანაში.  
მათ მაგიერ ვხედავ, რომ ჩვენი მოქმედი  
შირნი გულმოდგინედ უველაზე უფრო  
თავის კერძო ბედნიერებას ემსახურებიან,  
მამულზე კი მარტო მაშინ მოიფიქრებენ,  
როცა საკუთარ საქმეებს მოილევენ, უვე-  
ლა თავის კერძო მადას დაკმაყოფილებს  
და ჩინებულ სადილს შემდეგ, მშვენიე-  
რად მორთულ დარბაზშიც განცხომას

მიუცემა. მაშინ, სამასლაათოდ, ხან ქა-  
ლების შნოზე ჩამოაგდებუნ მუსაიფის,  
ხან მამულის უბედურებაზე... რასაკვარ-  
ველია ამგვარ გაცებს ნამდვილი მეცადა-  
ნებია მარტო იმაზე აქვთ მიქცეული,  
რომ მამულის აჩქარებულმა მოძრაობაში მა-  
თი პერძო გეთილდღეობა არ შეარტიოს...

დათვიქრდით ამაზე, და მაშინვე მი-  
ხვდებით, მაგალითად, იმ საკვირველი  
შემთხვევის განმარტებას, რომელსაც  
წვენ, ვსოქვათ, ქართული მწერლობა  
წარმოგვიდგმნს. ხომ უფელდღე გვეს-  
მის ამ „მოქმედი პირებისგან“ საჩივარი,  
წვენს მწერლობას საშუალება არა აქვს  
კარგი წიგნები ბეჭდოს ან თარგმნოსო,  
სეირიანი სახელმძღვანელოები გამოსცეს  
წვენი შეოდებისივის, უურნალი ან გა-  
ზეთი გააუმჯობესოს, და სხვ. და სხ.?  
გისგან გვესმის, უფრო ხშირად, ამ ნაი-  
რი წივილი? იმისთანა პირებისგან, ვინც

მარტო თავის თავზე, მარტო თავის მუცელზე ან სხულზე, ხეთას და გქვსას თუმანს ხარჯავს წელიწადში, ვინც არც მდიდრულ ცხოვრებას იპლებს, არც ბართხობას, და ას მანეთის კი არ იმეტებს წელიწადში, სამშობლო მწერლობის შესაწევნად. ჩვენი თეატრი წელ-მოწევეტილად მიღისო, ჩვენი მწერლობა დაცემულიათ, — ამას ხომ უველასგან გაიგონებთ. უველას გარგად ესმის, რომ ეს უველათერი უფრო საშუალების, ფულის უქონლობისგან გვემართება. და ამ საშუალებას, ამ ფულს კი არა გაცი იმეტებს, თუმცა იგივე უმაწვილი, რომელიც ამბობს: „დარიბნი ვართო“, მიბრძანდება და ორასი მანეთის ტანსაცმელს უიდელობს ან უოველ სადაშოს ხან სამ თუმანს აგებს ბანქოში, ხან ხეთს, ხან თოს, ხან სტეფან და უფრო მეტსაც! გუდრიფელად რომ უეგარდეს მას თავისი

მამული და მწერლობა, სუ თუ შესაძლო იქნებოდა ამგვარი მოვლენა? მაშინ ეს უმაწვოლი ტანსაცმელსაც უბრალოს დაჯერდებოდა, ბანქოს თამაშისაგანაც ხელს აიღებდა, დიდ კაცობასაც გამოეთხოვე ბოდა, და მარტო მამულს ან მარტო მწერლობას მიალევდა მთელ თავის ქანებას, ამიტომ რომ სხვისი მადა და სურვილი არც კი ექნებოდა. ნათქვამია, კაცს არ შეუძლია ორ ბატონს ემსახუროსო, და ეს სიტუა მტკიცე კეშმარიტებაა. ვერ ემსახურება კაცი ერთსა და იმავე დროს თავის პერძო ინტერესებს და მამულის სარგებლობას, ვერ გაიჩენს ორ დმიტრის, ვერ გაუძლებს ორ ბატონს. ან ერთი უნდა დაივიწყოს, ან მეორე, ან ერთისაგან უნდა აიღოს ხელი, ან მეორისაგან... და სანამ იგი ამ გადაწევეტილებას არ დაადგება, ორივეს სამსახური უხევირო, უდაბათო და უსარგებლო გამოუდის...

## VI.

დაკურულებეთ, ისევ, წელანდელ ჩვენს  
საცხოვრის, და ისევ იმაზე ვითვიქოთ, თუ  
რამ დასცა ჩვენი ხალხი, ან რა  
სკირია მას დღეს, გასაძლიერებლად?  
ჩვენის ხალხის დასუსტების ერთი მიზუ-  
ზი წელან მოვიკვანე. მეორე მიზეზიც  
იქთ, აგრეთვე მეტისმეტად შესანიშნავი,  
და ეს მიზეზი ახლა უნდა გამოვიკვლი-  
ოთ, ამიტომ რომ მის თავიდან მოშო-  
რებას უნდა ცდილობდეს ჩვენი ქვეყნის  
უფრო გული ერთგული შეილი. ეს მიზეზი  
იძამი მდგრადარეობს, რომ უცხოეთლუ-  
ბის შემთხვევას გარდა, ჩვენი ხალხი მისმა  
შინაგანშა განწევ წერდება მ და  
მდგომარეობაშ დასუსტა, დააუძ-  
ლურა.

სადაც მაშინ არის ძღვიერი და ბედ-  
ნიერი, როცა შიველი მისი ქალა თანა-

შედროე მეცნიერების იარაღით არის ად-  
ქიურვილი, ეს ხომ ერთი და მეორეც  
ის, როცა მთელი ეს მისი ძალა, თანა-  
შედროე მეცნიერების იარაღით ადგურ-  
ვილი, მის სასარგებლოდ იხმარება და  
მოქმედებს. მაგრამ როცა ხალხის ცხოვ-  
რებაში ნელ-ნელა ისეთი წესი შემოდის,  
რომ ნახევარი ხალხი თავის ძალას უქმდდ  
შიწაში მარხავს, უმოქმედოთ ჰითლინგავს,  
და მეორე ნახევარი კი თოვებ უთვრო  
მომეტებულად შრომობს, როგორც თა-  
ვის სარჩენლად, ისე იმ პირველი ნა-  
ხევრის სარჩენლად, რომელიც უმოქმე-  
დოთ და უქმდდ ცხოვრობს, მაშინ ხალ-  
ხის ძალა იღალება, სუსტდება და სრუ-  
ლიადაც ჰქონება. მაშინ მარტო ხალხის  
ძალა კი არ იღანტება უხეიროდ, თვით-  
თან ამ ხალხის თო ნახევარს შეა ჩემი,  
დაიგარებდი ბრძოლა ატელება, რომელი-  
შიაც იღუპა ხალხის გონიერითი და ფი-

ზიკური ძაღის უმჯობესი ნაწილი. ქიშ-  
ჩობა და სამდურავი იბადება, ერთობა  
იკარგება, და ხალხი თრ ბანაკად იუთვა,  
ორს ერთმანეთზე მტრად გადაკიდებულ  
ბანაკად... რასაკვირველია, უმიზეზოდ  
როდი დაბადებულა ჩვენში, ძველად, ეს  
უბედური განაწილება და განხეთქილება.  
ჩვენს ქვეუას ძველად მეომრები სჭი-  
როდა, და მეომრებს რჩენა უნდოდა.  
ზოგი გარეშე მტერს ებრძოდა, ოთმ  
შშრომელი ხალხი უცხოეთლების შემთ-  
სევისგან დაქსნა, და ეს შშრომელი  
ხალხი, რასაკვირველია, დიდის სიამოვნე-  
ბით არჩენდა, გულწრთველის გრძნობით  
ემსახურებოდა მის დამცველ ჯარს, ოთ-  
მელიც მაშინ მისი კეთილი, მფარველი  
ანგელოზი იუთ.

მაგრამ დროთა ვითარებისაგან ამ ნა-  
ირი გონიერი შრომის განაწილება ჩვეუ-  
ლებად გადაიქცა, და ბოლის შშრომელ

ხალხს რჩენა და ბეგარა ისეთმა პირებმა მოსთხოვეს, რომელიც მას არც შტრის-გან იფარავდენ, არც უცხოეთლების წინ ეხმარებოდენ... მიწა-წყალი ხალხს ხელიდგან გამოეცალა და შთავდი ხალხი იმ კაცთ უურმოჟრილ უმად გადაიქცა, რომელიც უსაქმოდ ცხოვრობდენ და უსაქმობის გამო მარტო სამოვნებაში ან ქეითვში ფლანგავდენ ხალხის შრომით ნაწარმოებს...

ვისაც ჩვენი მამული უეგარს, მისი პირველი მოვალეობა ის არის, რომ აი ეს უსწორ-მასწორობა, ეს განხეთქილება შეამციროს, რომ შემდეგში ერთადნად მოისპოს ჩვენში ამგვარი უსამართლო და უგუნური ფლანგება ხალხის ქალისა და შრომის. სასამ უმოქმედო ნაწილი ჩვენი საზოგადოებისა შრომას და თავის რჩენას არ შეეჩევა, სასამ ჩვენი ხალხი მეწველი ქრონის მდგრადიდგან არ გამოვა, შეუძლებელია, რომ ჩვენში ნამ-

დყილი ერთობა დაარსდეს, ან გულ-  
წრთველი მმობა, ან ხეირიანი განწყობი-  
ლება. მაშასადამე, უკელათერი, რაც ეპო-  
ნი მიურ საშართლიანობას გვი-  
ახლოებს, ჩვენის მამულის სასარგებლოდ  
უნდა მიგვაჩნდეს, და ნიადაგ იმას უნდა  
კცდალობდეთ, რომ ხალხის უმრავ-  
ლეს ნაწილს გავუადვილოთ თა-  
ვის გათავისუფლება ეხლანდე-  
დეთ დამოკიდებულ-მდგომარე-  
ობისაგან. ხალხი მაშინ კამადიერდება,  
მაშინ დამობიდადება, მაშინ შეადგენს  
ერთ ძმენს ოჯახს, როცა სადათ არა ექ-  
ნებათ რა სხვადასხვა წოდებას, როცა  
გველანი შრომას გაერთიანდან და შრომას  
ისე გაინაწილებენ, რომ თითოეულის  
შრომა გვედა სხვის შრომის გააღვიდება  
იქნება და არა გამსელება.

ამის მაგიერ, რომ ნამდვილი განხეი-  
კილების შემცირებას ან მოსპობას კცდი-

დობდეთ, ჩვენ რას ვშვრებით? გვინდა  
გავაუჩდეთ ამ საწეპნს საგანზე, გვინდა  
ხმა არ ამოვიდოთ, გვინდა განტუმებით  
დავაჭეროთ გარეშე ჰირები, თითქმ ჩვენ-  
სა, ჩვენის ხალხის ღვანები, მართლა ერ-  
თობა და მმობა მეოცეობდეს. ბრიუვობა  
და ბავშვობაა ეს ჩვენი ანგარიში. ხალხის  
ცხოვრება და მდგრმარეობა კერძო ღვა-  
ნი ხომ არ არის, რომ ხალხის სხვადა-  
სხვა ნაწილის ქიშჩობის ან განხეთქილე-  
ბის დამალვაც ისე ადვილად შეიძლებო-  
დეს, როგორც გადამტერებული ცოლ-  
ქმარი სტუმარს მხერვალე მოსიუვარუ-  
ლედ ეჩვენებიან ხოლმე? როგორც ჭდექს  
ვერ დამალვს კაცი თავის აგებულებაში,  
ისე ხალხის ცხოვრებაში არ დაიმალება  
შინაგანი განხეთქილება და ინტერესების  
მტრობა. ვინც გონიერია, ის ექიმობას  
უნდა შეუდგეს, ამიტომ რომ დღეს

კლეიპსაც არჩენენ თურმე, არათუ უბრა-  
ლო აგათმეთობას...

ათასი რომ ვიუვიროთ -- ჩვენში ერ-  
თობა სუფექსი, ძმობა მეფისის, კეთი-  
ლი გაწუდილება არსებობს, ამით ჩვენ  
მარტო საკუთარს თავს მოვატეულობთ,  
ჩვენ ხალხს ვავნებთ, მის მომავალს წა-  
ვახდებით... ჩვენს ცრუპატრიოტებს კი--  
ამ უპანასკნელის წლის განმავალობაში—  
მეტი შრომა არა ჭრონიათ რა, რომ ეს  
ბრძოლა, ეს კანხეთქილება დამალონ,  
მათზე ხმა არ ამოიღონ, მათი ხსენება  
მოსპონ მწერლობაში და საზოგადოებაში.  
სირაჭლეში იცის ასე: მონადირეს რომ  
დაინახავს, მაშინვე ბუჩქში თავს შეჭყოვს  
და თვალებს დახუჭავს: ჭრონია, რაკი მტერ-  
სა და მის თავის ვეღარ ვხედავ, ვერც  
მონადირე დამინახავს და ვერც მავნებსო.

ჩვენი ცრუპატრიოტები რომ თავის  
მამულის გონიერნი მსახურნი იუვნენ, მა-

თი ბირველი და უმთავრესი შრომა ჩვენის ხალხის ეპონომიურ ცხოვრებაზე იქნებოდა მიქცეული. „მიეცით ხალხს სარჩო, და სწავლას ის თვითონაც შეიძენს“, გთხიერად სთქვა იმ მწერალმა, რომელსაც ჩვენი ცრუპატრიატები თდეს-მე დიდ ჰატივს სცემდენ... გაუადვილეთ ხალხს სხვისთვის შრომისგან თავის დახსნა, გამოიევანეთ ის უსაქმო კაცების მონობისგან, მიწა დაუმპვიდრეთ, და მუქთახორებისაგან დაიხსენით, ან ასწავლეთ, თუ რა გზით დაიხსნას თავი, სასარგებლოთ, გამოსადეგი რჩევა აძლიერი, სიკეთე, ნამდვილი რეალური სიკეთე, მოუტანეთ მას რჩევით ან საქმით, და მაშინ ნახავთ, რომ მარტო ამნაირი საშუალებით შესაძლებელი უფლებილა, როგორც ერთობის დაარსება, ისე ხალხის ნდობის მოპოვება... აი, მარტო მაშინ დაამტკბიცებთ,

რომ მამულიც გევარებიათ და მისი მსახურებაც გცოდნია.

ცემთი გსიქები, რომ ჩვენის ხალხის სხვადასხვა წოდებას შეა ბრძოლა არსებობს. ბრძოლა ორნაირია ქვეყანაზე. არის ერთი ბრძოლა, მაგნებელი და დამდუშველი, ბრძოლა ღუპმა პურისათვის, დამშეულების შეა ბრძოლა, როცა ერთი მეორეს პირიდგან საჭმელს სტაცებს და თითოეული მარტო სხვისგან წართმეულით რჩება. ამგვარი ბრძოლა კიდეც კლავს, მაგრამ მეორე ნაირი ბრძოლაც არის ხოლმე ხალხში გამართული, თავმოუვარეთბის ბრძოლა, ქიშ-შობა იმაზე, თუ ვინ როგორ ისახელებს თავს, ვინ აჯობებს თავის ტოლს, ვინ უკეთესად წაიყვანს საქმეს. რამდენადც ხალხის ბედისთვის მავნებელია პირველი გვარი ბრძოლა, სწორედ იმდენად სასარგებლოა მეორე ნაირი. ჩვენს პატრიოტებს

კი ამ თრ ნაირ ბრძოლას შეს განსხვავება  
არ ესმისთ. იმათ სადღაც უკრი მოუტ-  
რავთ, რომ ბრძოლა მავნებელიათ, და ის  
პი გერ გაუგიათ, თუ რანაირი ბრძოლა  
უთვიდა მავნებელი, და რანაირი — სასარ-  
გებლო. იმ ნამდვილსა და დაზღუპულ  
ბრძოლას, რომელიც ჩვენს ქვეყანაში არ-  
სებობს, ისინი კადოთას აფარებენ და მაღ-  
ვენ. მაგიურად ცდილობენ მოსპონ ჩვენ-  
ში მეორე ნაირი ბრძოლა, რომლისგა-  
ნაც ჩვენ უველანი მარტო ამ მეორეს უნდა  
გელოდეთ, ცდილობენ კაზარმული წესი  
შემოიღონ და დაუხსონ გონება უველას,  
ვინც მიზნისგენ მათსავით ზანტად არ  
მიიპლაკნება.

რაც უფრო რომელიმე ხალხი მდიდა-  
რია გონებითის ძალით, რაც უფრო მოძ-  
რავია, ძლიერია მისი შვილების ჭკეა-გო-  
ნება, მით უძლურია მასში ეს. მეორე ნა-  
ირი ბრძოლა. მაგალითად ოუნდ საფრან-

გეთი დავასახელოთ, ან ინგლისი. სადაა  
იმოდენა ქიშითბა, ან ბრძოლა მოქმედ  
შირებისა ან მწერლების შეა, როგორც ამ  
თრ ჭკეპანაში? იქ უოგელი დეპუტატი,  
უოგელი მწერალი, უოგელი მოქმედი პირი  
თავის შეხედულების პირდაპირ გამო-  
სოქვამს და ცდილობს სხვები დააჯეროს,  
უველანი თავის ჭკეპაზე ამოქმედოს. შეი-  
ტაბებიან ხოლმე ამ სურვილით ავსებული  
შირები და მათი ბრძოლა უშველებელ თმს  
ემსგავსება: მტვერი ადის მებრძოლებს...  
დაუზოგვედად, გამწარებულად სთხოიან  
ისინი მოწინააღმდეგებეს... რამდენჯერ მო-  
მხდარა ხოლომე, რომ დუი ბლანი გამბე-  
ტას შეტაბებოდეს, ან გამბეტა დუი  
ბლანს, აშკარად, მთელი საფრანგეთისა და  
მთელი ევროპის წინ. სან ერთს მათგანს  
გაუმარჯვია, სან მეორეს, მაგრამ უოგელ-  
თვის კი მათი ბრძოლით ხადს უსარგებ-  
ლებია, ამიტომ რომ ბრძოლის შემდეგ

მისთვის უფრო ნათლად გამოსახულა საქ-  
მის მდგომარეობა; უფრო ნათლად გამო-  
ჩენილა ის გზა, რომელსაც ხალხი უნდა  
დასდგომოდა. საფრანგეთის ხალხი მარ-  
ტო მით არის ძლიერი, მარტო იშით  
სკობს სხვა ხალხს, რომ ათას და ათი-  
ათას ამგვარ ბრძოლას მისი გონიერა გა-  
ნუყითარებია, მისი გამოცდილება გაუ-  
დიდებია, და საკუთარის ჭკუთა სიარული  
უსწავლებია უკელას აზრის გამოკვლევის  
შემდეგ. ოსმალეთში კი, ან სპარსეთში  
ამგვარი ბრძოლის ხსენებაც არ არის. იქ  
რასაც ერთი ბრძანებს, ან რასაც ერთი  
წამორთობას, უგენდა ისე იქცევა. მი-  
ბრძანეთ, ახლა, რომლის ჩვეულების შე-  
მოღებას უნდა ვცდილოდეთ, ჩვენის მა-  
მულის სიკეთე თუ გვაქვს მხედველობა-  
ში, და არა ჩვენი პირადი სარგებლობა  
ან პერსო იავმოუგარეობა?

აზრების ამნაირი ბრძოლა მით უფრო  
სასარგებლოვა, რამ ის სრულიადაც არ  
სწობს ნამდვილ დისტინციას, რომელიც  
ერველი მოქმედი საზოგადოებისთვის  
აუცილებლად საჭიროა. დაბნევის, გა-  
ცალკევების საჭიროებას კი არ ვქადაგობ,  
როცა ვამბობ, აზრების ბრძოლა და შე-  
ტაკება. სასარგებლოვა ჩვენი საზოგადოე-  
ბისთვის მეთქი. სრულიადაც არა. ვი-  
ბრძოლებოთ ერთმანეთს შეა, ერთის აზრს  
მეორის შეხედულება შევატაკო, ვეცა-  
დოთ სალხი მონაწილე გავხადოთ ამ  
ბრძოლისა და ჭკუის მოქრაობისა, და  
მერე, თუ ნამდვილად მამული გვიყვარს,  
თუ მისი სიკეთე კერძო თავმოუყარებია-  
ზედ უფრო დიდათ მიგვაჩნია, უველა იმ  
გადაწვეტილებას დაგადგეთ, რაც უმ-  
რავდეს თბაშ მიიღოს. ამ უმრავლე-  
სობისგან მიღებულის გადაწვეტილების  
ერთგულება შეადგენს ნამდვილსა და გა-

მოსადეგ დისტიპლინას და არა ფელდ-  
ფებლური მონთბა ერთის რომელისამე პერ-  
შისა, -- და არა თვალდახუჭული დაჯერება  
იმისი, რასაც ეს პერში წამორთოავს ან  
ბრძანებს.

ათასჯერ შეტაკებულან მწერლობაში და  
შარლაშენტში გამბეტა და ლუი ბლანი,  
მაგრამ არც ერთის შათგანისთვის ამ შე-  
ტაკების სიმწარესა და დაუზოგველობას  
არ დაუშლია ერთად უთვისა უველა იმ  
კითხვებისა და იმ საგნების განრჩევასა  
და განსჯაში, რაც რესპუბლიკის ინტე-  
რესებს ეხებოდა. საქმე რომ კენჭის ურა-  
ცე მივარდებოდა, გამბეტას პენჭი და  
ლუი ბლანის კენჭი თრივე ერთსა და  
იმავე უკრაში ერთად ვარდებოდა, ორი-  
ვე ერთად ან „ჭოს“ ამბობდენ, ან  
„არას“. ერთი მეორის ჯიბრით კი არ  
მოქმედებდა, ერთი მაშინ როდი იძახო-  
და „არაო“, როცა მეორე „ჭოს“ იტ-

უოდა. უთანხმოება შათ შორის შარტო  
იმაზე იყო,—მტერს რა გზით შოგე-  
რითით, მაგრამ მტერზე რომ საქმე  
მივარდებოდა, თრივე ხან ერთნაირად  
ებრძოდა მტერს, ხან თითოეული თავი-  
სებურად... ერთი ფიქრობდა ან ამტკი-  
ცებდა, სჯობია მუშტი თავში ვერათო,  
მეორე უვირთდა, არა, ფერდში ან ზურგ-  
შით. მტერს ხომ თავისი საკადრისი არ  
აკლდებოდა... სახეირო დისციპლინა ამა-  
ში მდგრმარეობს მეთქი. დისციპლინა  
შარტო შაშინ იქნებოდა დარღვეული,  
მოწინააღმდეგებე მტრისათვის თავი რომ  
დაენებებიათ და მუშტები ერთმანეთისა-  
თვის დაერთოთ, მტრის სასარგებლოდ  
და სასისარულოდ. ამას კი ხომ შარტო  
ჩვენში შვრებიან, და არა საფრანგეთში,  
უმეტრები, და არა გონიერები.

რაც ჩვენის მომავლისთვის საჭიროა,  
იმას ჩვენ როდი ვიგარებთ, მაგიერად

მავნებელს კი გულში ვიხუტებთ. აზრების სიუხვეს, შედარებას, წინააღმდეგობას არ ვითამენთ, ცოდვათ ვთვლით ვდევნით; გვიპონია საჭირო დისციპლინა ჩვენში მარტო მაშინ დაარსდება, როცა უველა ჩვენის ქვეუნის შვილები თვალ ახვეულად ერთს მოთავეს გაუვებიან... ამას ვეძებო და საჭირო დისციპლინას კი ვერ ვახერხებთ, ვერ ვაწეობთ. განა ეს უბრალი არ არის, მაშ რა ოხრობა?!

დისციპლინა დიდი რამ არის ხალხის ცხოვრებაში. დიდი უბრალი უბრალი ხალხის-თვის, როცა მისი გონიერითი და ფიზიკური ძალა დაფარტულად, უთავბოლოდ, უგზო-უკვლოდ იხარჯება. შრომისა და ძალის შეერთებით და ერთი მიზნისკენ მიმართვით ხალხი იმისთანა საქმეებს ახერხებს, რომელსაც ვერც ერთი კერპო ჰირი, რაგინდ გონიერი იურს, მარტო-ხელად ვერ მოერეოდა, და ვერც ათასი

ან ათი ათასი გენიოსი, ცალცალკე შერთ-  
მელი, ვერ გაარიგებდა. დიდი ეპონთ-  
მია, დიდი სარგებლობა ან სიადვილე  
მოსდევს შრომის გთხიერ შეერთებას:  
ჯაფა მაშინ უველას უადვილდება და შრო-  
მის საუფლი უველასთვის მატულობს. მაგ-  
რამ შრომის შეერთება იმას კი არ ნიშ-  
ნავს, რომ უველა შერთმელი მარტო  
ერთ მოთავეს თვალში უნდა შეაჩერდეს  
ან ბრძან ასრულებდეს მის ბრძანებას.  
ათასიც რომ იუთს ამისთანა შერთმელი,  
მათი შრომა მაინც მარტო ერთი კაცის  
გრძება იმუშავებს. გონიერი შრომის შე-  
ერთება, რიგიანი დისციპლინა იმაში  
მდგრადარეობს, რომ ამ ათასი კაცის  
ტკინი და გონება საქმეს ეხმარებოდეს,  
რომ რაც მათ ძალა ან მოხერხება აქვთ,  
სულ ერთიანად შრომაზედ იუთს მიქცეუ-  
ლი, რომ ამ ძალისაგან ან ამ მოხერხებ-  
ბისაგან არათერი იყარგებოდეს... მაშინ

საქმე გარგად წავა და ერთი მოთავის  
ბეჭებე როდილა იქნება დამსკიდებული  
საქმის, ქვეუნის იდბალი. ოუნდ მოგვდეს  
ეს მოთავე, ოუნდ წახდეს, ოუნდ შეც-  
დეს, ოუნდ ათს სხვა მოთავეს დაქმარ-  
თოს ამგვარივე უბედურება, მშრომლების  
საქმე მაინც ხეირიანად წარმარიული იქ-  
ნება: მაშინ, როცა საჭიროება მოითა-  
ხოვს, თითქმის თითოეულს ამ მშრო-  
მელთაგანს მოთავედ გახდომა შეუძლება,  
და საქმე უპატრონოდ თავის დღეში აღარ  
დარჩება. მაშინ მოთავე მარტო დროშა  
საქმის, ის დროშა, რომლის გარშემოც  
რიგზე დგებიან გთნიერი მშრომელები.  
მაშინ ეს დროშა მარტო მას მიებარება.  
გინც გველაზე უფრო მაღალია, გისაც სხვა-  
ზე უფრო შორს უწერის თვალი... სულ სხვა  
ნაირად მადის საქმე; როცა გროვას დის-  
ციპლინად ბრძა მორჩილება მიაჩნია, მა-  
შინ მოთავეს, მედროშეს დაცემა, ან უბ-

რაღოც შეცდომა ოცი ან თცდაათი წლით  
ახდენს საქმეს. მისი რაზმი მაშინ ან  
ცხვრებსავით იყანტება, ან ბრძად მი-  
ჰუკება ხრამისკენ, სადაც ტალახში ჩა-  
ფლვა ან დაღუპვა ეფის... ჩინებული,  
გონიერი, უნაკლულო რომ იუს ამგვა-  
რი ბრძა გროვის მოთავე, ამას მაინც  
ის ემჯობინება საქმისიყის, რომ გონიერ  
რაზმს თუნდ უხეირთ მოთავე ჰუკანდეს...

ნუ დავივიწყებთ ამას, და ამ შხრით  
გადავხედოთ აბა ჩვენს მდგომარეობას.  
აქაც შევეურებით ზოგიერთს ისეთს კა-  
ნონს ისტორიული განვითარებისას, რომ-  
ლის ცოდნაც უსარგებლო არ იქნება  
ჩვენთვის.

## VII.

უწინდელს დროში ჩვენს საზოგადოებაში მარტო ბრძა დისციპლინა არსებობდა. მთელი მხარე ან მთელი ხელია, ან მთელი სოფელი ერთს კაცს მიჰყებოდა, ადგილობრივს დიდ-კაცს, დიდს მებატონეს, დიდ-შეძლებულს კაცს... ბევრს უნდა ახსოვდეს, ჩვენში, რა ხმა და გავლენა ჭქონდათ თავთავის მაზრებში ამგვარ მებატონებს, ან ერის-თავებს. რა-საც ისინი „ბრძანებდენ“, იმას მთელი ხალხი გამოუკვლეველად იჯერებდა. ოთ-დი ვინმე კითხულობდა, თუ რისთვის ბრძანებს, რა საფუძვლით, ან ამ ბრძანებას რა შედეგი მოსდევს. გიორგი ბატონშა ბრძანათ, „გეორგ-ადამ ასე ინ ებათ“, და დანარჩენი ხალხი ისე თვალახვეულად მისდევდა ამ ბატონების სიტ-ებს, როგორც ცხვრის ფარა თხას გა-

ჰევება ხოდემე. დღესაც ბევრია ამისთანა  
მაგალითი ჩვენს თვალ-წინ. დღესაც ბევრს  
ალაპუ მასახავს, რომ დიდი ჩინით ან  
დიდი სამდიდრით აღჭურვილს კაცს, გო-  
ნებით კი დარიბს და ხასიათით სუსტს,  
უშეესაბეჭდი ხმა და გავლენა ჰქონდეს  
საზოგადოებაში. ათასი და ათიათასი უჯე-  
რის მას, და იმას კი არავინ კითხულობს,  
მართალა ჭრისთვის ან პატიოსნებისთვის  
მისცეს ეს ჩინი, მართალა ჭრითა ან პა-  
ტიოსნებით მოიგო ეს გავლენა?.. ჩვენი  
ხალხის უმრავლესობა ჯერ კადეკ ამ პირ-  
ველ-დროინდელს მდგომარეობაშია.

მარტო ახალგაზდობის მცირედი ნა-  
წილი გამოვიდა. როგორც იქნა, ბრძა  
მონების კლანებიდგან, და, რასაკვირვე-  
ლია, იმწამსვე მეორე უბედურებაში ჩა-  
ვარდა. როგორც ამ წერილის დასაწეი-  
ში ვამბობდი, რომ კაცობრიობა თვალ-  
ახვეულად დაეხეტება ერთი ხრამიდგან მე-

ორესკენ-მეთქი, ჩვენი ახალგაზდობაც ისე  
მთიქცა... ადვილად მიხვდა, რომ უშვე-  
ლებელი უგუნურობა უთვიალა ეს ბრძა  
მორჩილება: რაკი ამაზე შეიძლი მიახადა,  
ის მოტრიალდა და პირდაპირ მეორე  
გზას დაადგა: „ადარავის დავემორჩილე-  
ბი, სხვისას ადარათერს ვიწამებ, მარტო  
ჩემს საკუთარ შეხედულებას გავევები,  
მარტო ჩემს გონებას ვიცნობო“! უწინ-  
დელს მონთავას უპტელელად ეს შედები უნ-  
და მოეტანა. ამის გამო, ეხლანდელი  
ჩვენი ახალგაზდობა დაივანტულია გონე-  
ბითად: ზოგი მარჯვნივ მიღის, ზოგი  
მარცხნივ, ზოგი წელისკენ მიიწევს, ზო-  
გი ტეისკენ, ზოგი ხტის, ზოგი წევს,  
ზოგიც სეირნობს... ორ კაცს ვერ მო-  
ქებნი ამ ახალგაზდობაში, რომ ერთი  
და იგივე რწმენა ჰქონდეს, ერთი და  
იგივე იმედი ან შეხედულობა, რომ უვე-  
ლათერში, რაც კი საზოგადო ცხოვრე-

ბის უმთავრეს მსარეებს შეადგენს, თანახმანი და ამხანაგნი იუვნენ. ერთს ასე უწრის გონება, მეორეს ისე, და ორივე თავისებურად მოქმედობს. ჩვენი ძველუბის რწმენა, ტრადიცია, დანდობა, მიუთლა, სიუფარული მათში იმავ დღეს დაიკარგა და გაჭქრა, როცა ძველი „ბრძამონება“ შეეზიზდათ. მაგიერად ახალი მეცნიერების ძალას ჯერ კიდევ გერ დაუწერდა მათი გონება, ვერ აუხსნა მათთვის, თუ რა გამოსადეგია, რა საჭიროა გონების ან ფიზიკური ძალის შეერთება და ერთ მიზნისკენ მიმართვა. ჩვენს ახალგაზდებს რომ ამ ახალი მეცნიერების სიღრმე გაეზომათ, ნამდვილად რომ გაეცნოთ მისი უმთავრესი მსარეები, კარგად ეცოდინებოდათ, რომ ძველი, ბრძანწმენის მაგიერ გვარიანი ხანია აშენებული უთვილა ახალი მეცნიერება, რომელიც უველასთვის საერთოდ დასაჯერე-

ბეჭია... მაშინ საზოგადო ცხოვრების უმრავლეს პითხვებზე უკეთ ერთი და იგივე შეხედულება ექნებოდათ, სწორედ ისე, როგორც ვერავინ იტევის დღეს, ჩემის გონიერებით მინდა ვიარო და ამიტომ არ მინდა დავიჯერო, რომ ორჯერ თრი დოთხიათ!.. საზოგადოებრივი მეცნიერება ხეირიანად შესწავლული და გაცნობილი რომ ჰქონდესთ ამ ჩვენს ახალგაზდებს, ჩვენი საზოგადო კითხვების უმეტეს საწილებებაც ერთი აზრისა და შეხედულობის იქნებოდენ, ისე, როგორც უკეთა, თანახმაა ახლა იმისი, რომ ორჯერ თრი დოთხია, ან იმისი; რომ სახლის ასეშენებლად ჯერ საძირკველი უნდა გათხაროს კაცმა, მერე პედლები ამოიყვანოს, და მერე ჭერი გააკეთოს, და არა ამ ჭერის გამართვით დაიწეოს სახლის შენება... ჩვენი საზოგადოება ჯერ არ მოსწრებია ამ უკანასკნელ განვითარებას. დღეს ჩვენ

იმ შერითდში ვდგავართ, როცა ჩვენი ხალ-  
ხის უმეტესი ნაწილი ისევ ძველებურს  
განებითს სიბრძავეში იმუთვება, და ახალ-  
გაზღვდობის უმეტესი ნაწილი კი ამ სიბრ-  
ძავის სიძლვეებით დაფანტულად ცალ-  
ცალპე დახეტიალობს. ამ ხეტიალის  
უსარგებლობა და მავნებლობა ბევრს ესმის.  
ბევრი ქადაგობს, არ ვარგა ამგვარი და-  
ფანტულობათ. ბევრი იხვეწება — ერთობა  
ვიქონითთო, ერთი შიზნისკენ წარვემარ-  
თოთთ. მაგრამ რადგანაც ამ ქადაგობას  
შიზნად მარტო უწინდელი ბრძა მორჩი-  
ლების აღდგინება აქვს, რადგანაც ჩვენ  
მოთავეულებს ის არ ესმისო, რომ აუცი-  
ლებლად საჭიროა ადგილი და კმაყოფი-  
ლება მიეცეს კერძო პირის გონებას,  
ამისკამთ „ერთობის ქადაგებას“ ნაერ-  
თვი არ მოაქვს ჩვენში. ოფეროც ხალხში  
საძლვეილი ერთობა მარტო მაშინ დამუარ-  
დება, როცა ამისი ეკონომიკური ცხოვ-

რება გათანასწორდება, როცა ხალხი ეკონი თმიურად გათავისუფლდება და შეერთებულ შრომას შეეჩვენა\*), სწორედ ისე ახალგაზდობის ცხოვრებაში, გონიერი და საჭირო დისციპლინა მარტო მაშინ დაარსდება, როცა წვენი მოთავეები ბრძან მორჩილების ქვების დაივიწყებენ, და მარტო თავისი გონების ქალით, მარტო თავისი მიზნის სიწმინდით, ან საფუძვლების შეურევეგლობით მოიგებენ ახალგაზდობის შემუშავებულს, მოწიფებულს, თვალ-ახელიდს გონებას...

\*) ამ საგნებზე, განსაკუთრებით იმაზე, რომ ამ განთავისუფლების შეძენა მოხერხდება ჩვენის საადგილ-მამულო ბანკების აგრალურსა და მელიორატიულს პოლიტიკაზე დამყარებით, ბევრი ვიქადაგე ამას წინათ 1873—1876 წლების მწერლობაში და საზოგადო კრებებზე.

დამწერის ახალი შენიშვნა.

ამის მაგიერ ჩვენი მოქმედი პირები  
იმ საქციელს ადგიან, რომელიც შხა-  
ლოდ მცირე საქმეს, ვიწრო ამხანაგობას,  
უმომავლო მიზანს შეუფერება, და არა  
დიდს, სახალხო, საქვეუნო საქმეს. მე  
და შენ რომ დაყმობილდეთ, მკითხვე-  
ლო, მარტო ჩვენი კერძო სარგებლო-  
ბისთვის, და რამე პატარა საქმე გამო-  
ვიწეოთ, ვსოდეთ დუქანი გავაღოთ, იმ  
მიზნით, რომ სიმდიდრე შევიძინოთ,  
გავდიდგაცდეთ, გავითდეთ, — ამისთანა  
საქმეში ჩვენ იქნება უოველი საშუალება  
გამოცვალებეს: სიცრუეც, მოტუუებაც,  
ინტრიგაც, და გაგლეჭაც. თუ ვიშოვეთ  
ამით რამე, ხომ კარგი, თუ არა და—  
დავპეტო დუქანს, გავიტანო საქონელს,  
და მერე რაც უნდა ის ჭენას მოტუუ-  
ბულმა ხალხმა, რაც უნდა ის სახელი  
დაგვარჭვას. ხომ ასე შვრებიან უველა  
”ვიწრო მიზნის მიმდევრები“? მაგრამ

თუ იმისთვის საქმეს ვიწყებთ, რომელ-  
საც საშვილი-შვილო ხასიათი აქვს, რო-  
მელსაც არც გაქცევა მოეხმარება, არც  
აკრეთა, მაშინ ხომ სულ სხვანაირად უნ-  
და მოვიქცეთ? ხომ ადარ გამოგვადგება  
მაშინ ორი თა ბა, ხომ ვერათერს მოვა-  
ხერხებთ ინტრიგით, სიცრუით ან ტუ-  
ლით? მაშინ ხომ თითოეული ჩვენი  
სიცრუე ჩვენს შვილსა და შვილის-შვილს  
დაატულება ოავზე? ხალხის საქმეც ამნაი-  
რია. რაც კი რამ გაპეთებულა ქვეპანაზე  
დიდი ან სახეირო, ხალხისთვის, გაპე-  
თებულა აშკარად, საქვეუნოდ, პირდა-  
პირ, მარტო პატიოსანი საშუალებით,  
მარტო ნამდვილის ქალით, გონი-  
ბითის ან ფიზიკურის ქალით, და არა  
ორი თა ბით, პირთერობით, ფარისევლო-  
ბით, და სხვა ამ რიგი საშუალებით.  
მარტო „კლიკას“, ავზაკურს ბრძოს შე-  
ეფერება ქვეშქეშურად მოქმედება საზო-

გადო ასპარეზზე, მარტო უმომავლო  
 ხალხს, დაცემულს და უიმედო საზოგა-  
 დოებას მოუხდება დაფაროს თავისი თავი,  
 თავისი მიზანი და საშუალება, და ჩუმ-  
 ჩუმად, მაღულად ეძიოს თავის ხსნა...  
 ნუ-თუ იქამდი დაეცა ჩვენი ხალხიც, იქამ-  
 დი ბოლო მოედო საქართველოს, რომ  
 ამნაირი უმომავლო და უიმედო ქვეწად  
 უნდა ჩავთვალოთ? ნუ-თუ მარტო იეზუი-  
 ტური გზა დარჩენილა მის საშელად,  
 მარტო თინების, სიცრუის და თვალე-  
 ბის-ახვევის გზა? ნუ-თუ ჩვენი ხალხი  
 იმდენად დაცემულა, იმისთანა უიმედო  
 მდგრმარეობაში ჩაგარდნილა, რომ ვედარ  
 აიტანს იმ შრომას, ვერ დაადგება იმ  
 გზას, ვერ მოინედებს იმ საზრდოს,  
 რომელიც სხვა ხალხს აბედნიერებს ან  
 აიღიერებს? თუ კი ის იმდენად უიმე-  
 დოა, რომ არც პირდაპირი აზრის მუ-  
 შაობის მონელება შეუძლია, არც საკუთა-

რის უსწორ-მასწორობის გადასწორება, არც შინაგანის ნაკლულევანების შემჩნევა და მორჩენა, არც განიერად შრომა თავის პეთილდღეობისთვას,—ხალხი კი აღარ უთვილა, ველურთ უბანი უთვილა, სულითა და გულით დაცემული, და რადას უშველის მასზე ზრუნვა ან მისთვის შრომა?.. მაინც ხომ ვერ აღადგენს მკვდარს ეს იეზუიტური და მიმაძინებელი ბზა, ეს საზოგადო გონების დამხმედი მოქმედება!

### VIII.

მაგრამ ეს ტუუილია,—ჩვენი ხალხი, დვოის მადლით, შორს არის ამგვარ უიმედო მდგრადმარეობისაგან. დმერომა ნუ ჰქნას, ამისთანა უბედურებაში რომ ჩაკარდეს. მაშინ ის ჩვენგან აღარავის ეჭვარება, თავს მაშინ მისთვის არავინ დას-

დების, შრომას ადარავინ იკისრებს... მა-  
შინ უთველი კაცი მას ისე მოქმედობა,  
როგორც თითოეული ჩვენგანი ეკლესიის  
წინ დავარდნილ პეტრე ექცევა: შეიძრა-  
ლებს, გული დაეწვის, მოწყალებას მია-  
წოდებს, მაგრამ პირს მაინც მიიბრუნებს:  
ხომ მაინც ფეხზე ჭრ დავაუენებ, კაცად  
ხომ მაინც ვერ გავხდი ამ საბრალოსთ!  
მარტო ის აიუვანს, მარტო ის უპატრო-  
ნებს, ვისაც სურს, რომ ამ კუტის ჩვე-  
ნებით გროშები შეაგროვოს, მისი მა-  
ნინჯობის გამოვენით თავისი საკუთარი  
თავი ირჩინდას... ამგვარი კაცები კი ხან-  
დისხან განგებ ამახინჯებს უიმისრთაც  
ბუჩებისგან გადახულ კუტს... უგულო  
კაცის მეტი ასა ვინ დაადგება ამგვარ  
საქციელოს?

არა, ჩვენი ხალხი ამისთანა მდგომა-  
რეობაში არ ჩავარდნიდა. ის სულ სხვა-  
ნაირი სამსახურის დირსია. დირსია, რომ

მისი საქმეც ისე წაიუვანოს მისმა მოთა-  
ურებმა, როგორც უფეხლი ხეირიანი ხალ-  
ხის საქმე წაუვანილა ქვეუნიერებაზე. ეს  
ჩვენი ხალხიც დარსია, რომ გონიება კან-  
გუვითართა, ამრის მუშაობას შევაჩვი-  
თა, საკუთარის ხელით მოვაწმენდინოთ  
მისი წელეულები, საკუთარის შრომით გა-  
ვამართვინოთ სამართლიანი გაწეობილება,  
საკუთარის მუხლით სიარული დავაწევი-  
ნოთ, და უველა ამას, ხომ, მარტო პირ-  
დაპირი, უგელასოვის აშკარა იყალსაჩინო  
შრომა მოიტანს... მაში ტირილსა და გო-  
დებას თავი დავანებოთ, დავივიწეოთ უხე-  
ირთ თინები, ნუდარ ვიკადრებთ იმ გლა-  
ხურ ცრემლის ჩვენებას, რომელსაც ამო-  
დენა ხანია მისცემია ჩვენი მწერლობა!  
აიასიც რომ ვიძლავდოთ ქართულ ენაზე  
„ვაიმე, დედა, გვედრავენ, ვაიმე, დედა,  
გვამშევენ, ვაიმე, დედა, არვინ გვწე-  
ლობს“,— ეს მარტო კუტის ჩვენებას ან

კუტის ექსპლოატაციას ემსგავსება. ამით  
მარტო ათიოდე გროვს შევაგროვებთ,  
შეტს გერას მოვახდეთ, ჩვენი სისუს-  
ტისა და გლასხაკობის გამოჩენას გარდა.  
თუ მართლა საიმედოთ მიგვაჩნია ჩვენი  
ხალხი, თუ მართლა გვწამს მისი მომა-  
ვალი, თუ მართლა და გულწრფელად  
გვინდა მისი მსახურება, ერთი სიტყვით,  
თუ სამდვილად გვიუვარს ჩვენი მამული,  
ჩვენ ის უნდა გავაძლიეროთ, რო-  
გორც მატერიალურის შხრით—სამართ-  
ლიანად ეკონომიკის გაწუთბილების და-  
ფუძნებით, ისე ზნეობით—მისი გონე-  
ბისა და ცოდნის გაუმჯობესებით. ის იმე-  
დი უნდა ჩავუნერგოთ მას, რომელიც  
ჩვენ თითას გვაქს, იმ მომავლისკენ  
უნდა მიუბრუნოთ პირი, რომელიც ჩვენ  
გვწამს, იმ გზაზე უნდა დავაუენოთ,  
რომელმაც უკედა სხვა ხალხი გააძლიერა  
და გააბედნიერა. მარტო ის ხალხიათ დირ-

სი ბედნიერების, სოჭვა ვიქტორ ჰიუგომ  
სომხებზე, ოთმელიც მომავალს შეჩერე-  
ბიათ; და ვინც მარტო წარსულს შეცხა-  
რის, ის სამარეს იისრისთ...

მარტო ჩვენი თავის იმედი ვიქტორი,  
მარტო ჩვენს ძალას მივენდო,  
მარტო ჩვენს გაძლიერებასა და  
განათლებაზე ვიშრომოთ — მა-  
შინ შეგობარიც ბევრი აუზნდება ჩვენს  
ხალხს და დამსმარებელიც\*). ხალ-  
ხის ცხოვრებაშიც ის კანონი მოქ-

\*) აი, ქართულ მწერლობაში ამ მიმარ-  
თულების შემომლებს ახლა აზეფის და გა-  
პონის ბრძა მიმდევრები ცილს სწამებენ,  
ვითომდა ხალხს სულ იმას უქადაგებდა, —  
მარტო ბიუროკრატიის იმედით იყავითო,  
მის გარეშე საქართველოს შეელა არ მოე-  
ლისო! ნახავთ, არც აწი მოინანებენ ამ  
ცოდვას!

დამწერის ახალი შენიშვნა.

მედებს, რომელიც აღებულიშვილის დედა-  
ბურჯად დგას: უკელა მარტო იმ კაცს  
ენდობა, მარტო იმას ასესხებს ფულს ან  
კრედიტს გაუხსნის და შემწეობას მის-  
ცემს, ვისაც თავისი რამ აქვს შესაფერი.  
— აი ჩვენც ასე უნდა მოვიქცეთ. კერ  
ჩვენი რამ შევიძინოთ, ჩვენდათავად გავ-  
ძლიერდეთ, ჩვენი მუსლი და წელი გა-  
ვიმაგროთ და მაშინ ერთი დასტვენის  
მეტი არაფერი დაგვჭირდება: მაშინ უვა-  
ლას ჩვენი ნდობაც ექნება, პატივიც და  
რწმუნებაც. მაშინ უკელა მეგობრებად გაგ-  
ვიხდება და შემწეობას არავინ დაგვაკ-  
ლებს. მაშინ ჩვენდა-თავად არც ტირი-  
ლი დაგვჭირდება, არც გოდება, არც  
ზღუჟენი, არც ჩურჩული. და სანამ ამ  
„საკუთარის გაძლიერების“ გზას  
გულდაგულ და შირდაპირ არ დავადგე-  
ბით, მანამდი კი ათასიც რომ იბლავლოს  
ჩვენმა მწერლობამ, ათასიც რომ იჩურ-

ჩულონ ჩვენმა მოქმედმა პირებმა, კაცი უერადღებას არ მოგვაქცევს და შემწეობას არ გვაღირსებს, უველას ის აზრი ექნება თავში: „სუსტი ხარ, ქვეყანაზე ადგილი რათ გიკავია, თვალს რათ გვიჭრი შენის წელულების ჩვენებით, რა გიუთ, რა გიშველო, ხომ ფეხზე ვერ დაგაუენებ, თუ შენდა-თავად წამოდგომა არ შეგიძლიათ“!

მთასერხებს ეხლანდელი ჩვენი თაობა ამ საქმის წაუვანას, ამ მიზნის მიწევნას კი არა, ძებნას? არა მკონია. ერთაბე შეჩვეულია ის ზღლუქუნსა და ტირილს, ერთაბე ნაჩვევია სხვისი იმედით ეოთხნას, ერთაბე გადაჩვეულია სიარულს, საბუთარის ძალით სარგებლობას... დროა, დიდი ხანია დროა, რომ ახალმა თაობამ მიიხედმოიხედოს ამ ჩვენს მდგომარეობაზე და გარკვეულად შეუდგეს იმ შრომას, რომელსაც დღეს ჩვენის მამულის სარგებლობა მოითხოვს...

...თანდათან გვიახლოედება ახალ-ახალი ქვეუნის მოძრაობა... ოცი წელიწადი არ გაივლის ისე რომ ჩვენი ქვეუანა, ან ჩვენის მამულის ახლო-მახლო მდებარე ქვეუნები, მსროვლით ბრძოლის ასპარეზად არ გახდეს აღმოსავლეთსა და დასავლეთს შეა... მაშინ რესეტისთვის საჭირო და დასაფასებელი იქნება ჩვენი-ხალხის დახმარება... ბედნიერი ის ხალხი იქნება, ვინც მზა-მზარეული დახვდება ამ ბრძოლის ნირველ პიგინს, ვისაც მაშინ ნამდვილი ერთობაც ექნება და კონიერი დისციპლინა. მარტო ამნაირად დამარაგებულ ხალხს ექნება მაშინ ადგილი ხალხთა საერთო ტაბლაზე... და ვინც მაშინ დაივანტული, უძლეური იქნება, მას არავინ უურადღებას არ მიაქცევს...

მხედველობაში ვიქთნიოთ დაახლოებული მომავალი. ნე ვიზამთ კი, რომ

უწინდლურად უძლური და დავანტული  
დაესწოოს ჩვენი ხალხი ამ კარდამწევებს  
ბრძოლას... ნუ მთვინდომებთ, რომ ჩვენი<sup>1</sup>  
მეზობლები გაჟიატონურად ცალას  
გარშემო დასხიდენ, და ჩვენ კი ჩაულანდა  
მთვინდომობ, ამ სიტყვით:

«Покорись—о, ничтожное племя!  
Неизбѣжной и горькой судьбѣ,  
Захватило васъ трудное время  
Неготовыми къ трудной борьбѣ.  
Вы еще не въ могилѣ, вы живы,  
Но для дѣла вы мертвы давно,  
Суждены вамъ благіе порывы,  
Но свершить ничего не дано»!..

1879 г.

---

ამ წიგნის ავტორის, ნ. ნიკოლაძის, ნაწერთაგან ცალკე წიგნებად დაბეჭდილია შემდეგი:

- 
1. „საახალწლო“ ალმანახი, ვ. შავერდოვის გამოცემა. თფილისი, 1880.
  2. ნ. ნიკოლაძის ნაწერი. წიგნი პირველი. ჭიჭინაძის გამოცემული მეორედ. თფილისი, 1890.
  3. იაპონია. ძველი და ახალი შენიშვნები. გამოცემა „ცოდნის“ წიგნის მაღაზიის. თფილისი, 1905.
  4. „Горѣ имѣимъ сердца“! Тифлисъ, 1906.
  5. „Полукопеечный сборъ“. Доклады и статьи съ неизданымъ очеркомъ „Мечта и жизнь“. Поти, 1908.
  6. Изъ архива Н. Я. Николадзе. Основные изъяны дворянскихъ школъ. Поти, 1910.
  7. Кавказское марганцовое самоуправление. Петербургъ, 1910.

8. „ჩემ პოლიტიკაზე“. გაზეთის „იმერე-  
თის“ საპასუხოდ. ქუთაისი, 1913.
9. Du désarmement et de ses consé-  
quences économiques et socia-  
les. Dissertation de doctorat  
présentée à l'université de  
Zurich. Par N. Nikoladzé.  
Genève, 1868.
-

თ. ა. მთავრიშვილისა და ამხ.  
 წიგნის მაღაზიის გამოცემულია  
 შემდეგი წიგნები:

— —  
 1913 წლის 1-ს სეკტემბრამდი:

1. გუთანი, ოჯახსა და შკოლა-  
 ში საკითხავი წიგნი, შედგენილი  
 ი. ოცხელის, თ. მთავრიშვილისა  
 და ს. ყიფიანის მიერ, მეორე  
 შესწორებული და შევსებული  
 გამოცემა, ყდით..... 17 შ.
2. ჩართული გრამატიკა, ს. ხუნ-  
 დაძის, მესამე შესწ. და შევსებ.  
 გამოცემა, ყდით..... 3 აბ.
3. ჩართული გრამატიკა, პირვ.  
 დაწყ. შკოლებისათვის, მისივე. 1 აბ.
4. პირველ-დაწევბითი დარიგე-  
 ბა საღვთო სჯულის სფავ-  
 ლებაზე, არქიმანდრიტ. ნესტო-  
 რის (ყუბანეიშვილის), ყდით.. 6 შ.
5. სამშობლოს აღწერა, საქარ-  
 თველოს გეოგრაფია, ს. რობა-

- ქიძის, სახელმძღვანელო სურა-  
თებით და რუკით, ყდით..... 10 შ.
6. გატონებობა საქართველო-  
ში რუსეთთან შეერთებამდი,  
პროფეს. ხახანაშვილის, მეორე  
შესწორებული და შევსებული  
გამოცემა ..... 10 შ.
7. ეტიუდები XIX საუკ. ჩართ.  
ლიტერ. შესახებ, კ. აბაშიძის,  
ტომი I და II, თითოეული ... 14 შ.
8. ჩართული წერის დაღაცი,  
ს. დათეშიძის..... 5 შ.
9. შექსპირის დრამები: ოტელო,  
ჰამლეტი და მეფე ციმბელინი,  
ყრმათათვის ნაამბობი ს. ყიფი-  
ანის მიერ, მეორე გამოცემა .. 1 აბ
10. ლოცვანი, მლვდ. ა. გერსამია-  
სი, განმარტებით ..... 2 შ.
11. პირველ-დაწყებითი ცოდნა  
გეოგრაფიისა, ა. ჭიჭინაძის . 3 აბ.
12. მოკლე ჩართული გრამატი-  
კა, ი. ნიკოლაიშვილის ..... 1 აბ.

აგა 1914-ში:

1. 6. ნიკოლაძის ნაწერი, წიგნი  
მეორე, მამულის სიცვარუ-  
ლი და მსახურება, გადმო-  
ბეჭდილი 1880-ს „სახალწლო“  
ალმანახიდგან ..... 1 აბ.

---

P. S. ამავე მაღაზიის გადა-  
წყვეტილი განზრახვაა, გამოსცეს  
6. ნიკოლაძის სხვა ნაწერებიც.

ამ წიგნის ავტორის, ნ. ნიკოლაძის, ნაწერთაგან ცალკე წიგნებად დაბეჭდი ლია შემდეგი:

1. „საახალწლო“ ალმანახი, ვ. შავერდოვის გამოცემა. თფილისი, 1880.
2. ნ. ნიკოლაძის ნაწერი. წიგნი პირველი. ზ. ჟიკინაძის გამოცემული მეორედ. თფილისი, 1890.
3. იაპონია. ძველი და ახალი შენიშვნები. გამოცემა „ცოდნის“ წიგნის მაღაზის. თფილისი, 1905.
4. „Горѣ имѣимъ сердца!“ Тифлисъ. 1906.
5. „Полукопеечный сборъ“. Доклады и статьи съ неизданнымъ очеркомъ „Мечта и жизнь“. Поти, 1908.
6. Изъ архива Н. Я. Николадзе. Основные изъяны дворянскихъ школъ. Поти, 1910.
7. Кавказское марганцовое самоуправление. Петербургъ, 1910.
8. „ჩემ პოლიტიკაზე“. გაზეთის „იმერეთის“ საპასუხოდ. ქუთაისი, 1913.
9. Du désarmement et de ses conséquences économiques et sociales. Dissertation de doctorat présentée à l'université de Zurich. Par N. Nikoladzé, Genève. 1868.